ეროვნული ბიბლიოთეკა

# ივერია

ეროვნულ დემოკრატიული პარტიის პერიოდული გამოცემა

N° 25

# IVERIA

*EDITION PÉRIODIQUE EN LANGUE GÉORGIENNE*

შ ი ნ ა ა რ ს ი

მარი ფელისიტე ბროსე — შალვა კალანდაძე

ჩემი თავგადასავალი — ალექსანდრე ბადურაშვილი

ზღვისა ბამბაც ჩხრიალებს — მიხეილ ქავთარაძე

*AOUT* **1982** *PARIS*

# მარი ფელიციტე ბროსე.

(დაბადებიდან 180 წლისთავის გამო)

ქართველ ერს ბედმა არგუნა ისეთი გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც დაუსრულებელი შემოსევების არენად გახდა. დასავლეთის ისტორია იცნობს ხალხთა ამ შემოსევებს, რომეთთაც არაერთხელ დაარბიეს საქართველო. ხოლო გაკვრით იხსენიება მრავალი სხვა, რომელნიც კავკასიის ამპარტავან მთებში იქმნენ საზღვარდადებული. ისტორიკოსი მომზენი გვეტყოდა: ძველ დროში უდიდეს დამპყრობელებს მამაცი ქართველები აჩერებდენ კავკასიაში. ისტორიამ ქართველ ხალხს დააკისრა მუდმივი დარაჯობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყელზე. დღეს ყოველივე ეს მივიწყებულია და ნაცარწაყრილი. რასაკვირველია სულ სხვა ხასიათი ექნებოდა ჩვენს წარსულსა და აწმყოს, უკეთუ ქართველ ერს აღმოსავლეთ - დასავლეთის ყელზე დარაჯობა არ ჰქონოდა მიკუთვნებული, არამედ ისეთ ვითარებაში ცხოვრება, რომელიც საგრძნობლად დაშორებული იქნებოდა ხალხთა ამხედრების გზებს. ჩვენი ერის ფიზიკური და ფსიქიური ენერგია სავსებით ეწირებოდა საზრდოს მოპოვებასა და თავდაცვისათვის ბრძოლებს.

ასეთ ბრძოლებში გავატარეთ ჩვენი ისტორიის თვალუწვდენელი შარა-გზა მე-19-ტე საუკუნემდე, როცა კაცთმოყვარეობრივ და ქრისტიანულ დახმარების სამოსელში „გვესტუმრა“ მეფის რუსეთი.

ხსენებულ საუკუნეში ბევრი ევროპელი მოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. ზოგი განცვიფრებაში მოიყვანა საქართველოს ბუნების სილამაზემ, ქართულმა სტუმართმოყვარეობამ, ქართულმა სუფრამ. მემუარებიც უძღვნეს საქართველოში გატარებულ დღეებს, სადაც ქართული ცხოვრების წვრილმანი ამბებია მოთხრობილი. ერთ დროს ალექსანდრე პუშკინიც ეწვია საქართველოს. თავის „მოგზაურობა არზრუმში“ ის მოგვითხრობს საქართველოს გეოგრაფიულ სილამაზეზე. ისტორიისა და განსაკუთრებით ხელოვნების ისტორიის უბადლო მცოდნეს, შეუმჩნეველი დარჩა ქართული კულტურის შეუდარებელი ძეგლებიდარიალის ხეობიდან ჯვარის მონასტრამდე. ხოლო ტფილისის აბანოებში შეხვედრილ ხანდაზმულ ქალების სიგონჯეზე ხალისიანად მოგვითხრობს. ერთ საუკუნეზე მეტი ბატონობდა მეფის რუსეთი საქართველოში და ამ ხნის განმავლობაში, ერთი წესიერი შრომაც არ დაწერილა საქართველოზე.. უბრალოდ არ კადრულობდენ ამით თავის „შეწუხებას“.

დროა ბოლო მოეღოს ყოველი ჯურის გადამთიელის ხელგაშლილად მიღებას და ღირსეულად დავაფასოთ ის უცხოელნი, რომელნიც ჩვენს გაწეულ მამაგს და ქრისტიანულ კულტურაში შეტანილ წვლილს დააფასებენ.

ასეთ უცხოელთა შორის განსაკუთრებულ დაფასების ღირსია მარი ფელისიტე ბროსე. ამ უანგარო ევროპელმა, ჩინური ენისა და ლიტერატურის სწავლის შემდეგ, ხარბ დაწაფებით ხელი მოჰკიდა ქართულისა და სომხურის შესწავლას. მარი ბროსე იყო ინიციატორი მეცნიერული იბეროლოგიისა და არმენოლოგიის. მან შეისწავლა პარიზში დაცული ხელნაწერები, გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანი და აგრეთვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები.

1837 წელს ის მიიწვიეს პეტერბურგში. ხოლო ერთი წლის შემდეგ არჩეული იყო მეცნიერულ აკადემიის წევრად ქართულ - სომხურ ფილოლოგიის განხრით. 1847– 48 წლ. იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში. აქ მან შეკრიბა დიდძალი დოკუმენტური მასალა და სამ შრომად გამოაქვეყნა პეტერბურგში. საქართველოდან დაბრუნების შემდეგ (1849 წელს) უგუნურები დასცინოდენ მარი ბროსეს: დაცარიელე ერთი ტომარა შენგან ჩამოტანილ ქართულ ხელნაწერთა და გათავდა, მეტი აღარა დარჩება რა საკვლევიო. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო, საკვლევი კიდევ უფრო გაიზარდა, ვიდრე ამ უვიცთ ეგონათ და მას სხვა მრავალი მკვლევარი აღმოუჩნდა.

ბროსეს ორასზედ მეტ ნაშრომში, დიდძალი კრიტიკულად შემოწმებული მასალაა თავმოყრილი. აღსანიშნავია რომ, ბროსეს ხსენებულ მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა პეტერბურგში მცხოვრები თეიმურაზ ბატონიშვილი (კორესპონდენციით).

თავისი მდიდარი გონებრივი საგზლით ბროსემ გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია, წამოჭრა შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი და შეეცადა დაეწერა საქართველოს ისტორიის კურსი.

დიდია მისი ღვაწლი ქართული მეცნიერების და საზოგადოდ მეცნიერების წინაშე. რამდენადაც რთულია საკითხი ქართველი ერის რაობისა და მისი წარსულისა, რომლის გაგებისა და შესწავლისათვის არც ერთს უცხოელს არ გამოუჩენია და შეუწირავს იმდენი ენერგია, როგორც ეს შესძლო მარი ფელიციტე ბროსემ.

დიდი ერის შვილმა შეიყვარა და შეისწავლა პატარა საქართველოს წარსული და ამ წარსულს მოანდომა თავისი მეცნიერული კარიერა. ამიტომ ქართველი ადამიანის ხსოვნაში მარად დარჩება მარი ფელიციტე ბროსე, როგორც კეთილშობილი, ღირსეული და უანგარო ევროპელი.

შალვა კალანდაძე.

# შეფიცულ ბადურაშვილის
# თავგადასავალი

ალექსანდრე ბადურაშვილის ეს ნაამბობი 1981 წლის შემოდგომაზე ჩავიწერე. ამისათვის ბადურა ათიოდე დღით ჩემთან გადმოვიდა სოფელში, მშვიდად გვემუშავნა. როცა ტექსტი დასაბეჭდად გავმართე, კვლავ ჩამოვიდა და ერთად წავიკითხეთ. ბადურმა ორიოდე ეპიზოდი კიდევ გაიხსენა და თავიანთ ადგილზე ჩავუმატე. ვიცი რომ განსვენებული ნაამბობის დაბეჭდვას ელოდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალის გამოცემის დაგვიანება ჩემი სურვილით არ მომხდარა, გულზედ დანაშაულად მაწევს, ბადური რომ მისი ნაამბობის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. მ. ქ.

ოცდაორი წლის მაისი იყო. ჩვენი სოფლის გარეუბნიდან სროლის ხმა მოისმა. მამა შინ არ იყო და როცა დაბრუნდა ვუთხარი რაღაც სროლა იყო მეთქი. ვიცი ვიცი მე იქეთკენ ვიყავიო- მიპასუხა. შემდეგ სროლის შემთხვევითი მიზეზი მიამბო და განაგრძო: შვილო ხომ იცი ქაქუცა რომ თავისი რაზმით ტყეშია გასული და ჩვენი ქვეყნის მტრის წინააღმდეგ იბრძვის. მას სჭირდება ჩვენი მიდამოების გზა-კვალის მცოდნე ერთი მეომარი. მე მინდა ეს მეომარი შენ იყო, თანახმა ხარ თუ არა, ქაქუცას ხალხთან ერთად ქვეყნისათვის იბრძოლოო. მე ეს ამბავი წამსვე საამაყოდ და სასიქადულოდ მივიღე-ჯერ იმიტომ რომ მამაჩემის თვალში კაცად ჩავითვალე და მემრე იმიტომ რომ ქვეყნისათვის მებრძოლ ქაქუცას გვერდით ყოფნა საამაყო იყო.

ქაქუცაზე უკვე ხმა დადიოდა ხალხში, მე კი მას დამოუკიდებლობის ხანიდან ვიცნობდი, რადგან მის ცხენოსან ნაწილში ვიმსახურე თითქმის ერთი წელიწადი. ქაქუცა რომ ტყეში გავიდა მაშინვე ხალხში ხმა გავარდა, იგი მაშინვე შესდგომია კახეთის სხვადასხვა რაიონებში ჯგუფების ორგანიზაციასო ამისათვის მას კახეთის ყველა კუთხეში ჰყავდა სანდო კაცები, რომრლნიც მისი ადგილობრივი პროპაგანდისტები და საქმის ორგანიზატორებიც იყვნენ. ასეთი კაცი იყო მამაჩემი შაქრო ბადურაშვილი მთელ წინანდლის მიდამოებისათვის. მისი ასეთი როლი მე არ ვიცოდი . ჯერ ახალგაზრდა ვიყავი და ჩემს გამოუცდელობას არ ენდობოდენ. მაგრამ იმ დღეებში ქაქუცას მამაჩემისთვის უთქვამს; თქვენი მიდამოების მცნობი ვინმე მჭირდება რომ თანა მყავდესო. მამას უპასუხნია ჩემს უფროს ვაჟს იარაღის ხმარებაც შეუძლია და აქაურობასაც კარგად იცნობს წაიყვანე ქვეყნისთვის შემიწირნია და თუ დაიღუპა მაშინ მე შევცვლიო. აი ამის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა გამანდო მამამ ეს საქმე. შვილო შენ უნდა ქაქუცასთან წახვიდე და მასთან ერთად იბრძოლო ჩვენი ქვეყნისათვის. მე დარწმუნებული ვარ რომ შენს ვალს ვაჟკაცურად შეასრულებ და არ შემარცხვენო. მე სიხარულით ფეხზე ძლივს ვიდექი და აღტაცებით პირობა მივეცი მამას რომ მის სურვილს დიდი სიხარულით ვასრულებდი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არ შევარცხვენ. ამ სიტყვაზე მამა გადამეხვია შენ გენაცვალე ჩემო ვაჟკაცო შვილოო და გადამკოცნა. მამამ მითხრა ამაღამვე უნდა წავიდეთო. საღამოს სუფრა გავშალეთ და პურის საჭმელად დავსხედით. მამამ ღვინით სავსე ჭიქა აიღო და დამლოცა. მან გრძელი დარიგება მომცა და მისი შინაარსი ახლა არ მაგონდება, მაგრამ ზოგი რამ კი მისი სიტყვებიდან სამუდამოდ ჩაიწერა ჩემს მეხსიერებაში. შვილო ხომ იცი რისთვის მიდიხარსაქვეყნო საქმე ისეთი რამ ყრის, რომ შეიძლება მას კაცი შეეწიროს კიდევაც. მაგრამ იცოდე თუ შენს ქვეყანას ეს დასჭირდა თავი არ უნდა დაიშურო. საშიში საქმეა სადაც შენ მიდიხარ, მაგრამ თუ შენს მაგივრად მე არ მივდივარ, იმიტომ კი არა რომ თავი მოვარიდე, არამედ იმიტომ რომ მე აქ უფრო ვარ საჭირო. იქ შენ ჩემზედ უკეთ გამოდგები აქ კი ჩემობას ვერ გასწევამგვარად კი მეც და შენც ორივენი ქვეყნის საქმეს ვემსახურებით და ქაქუცას ერთისა ნაცვლად ორი მშველელი ეყოლებაო.

უკვე კარგა დაღამებული იყო სუფრიდან რომ ავიშალენით, გამოვემშვიდობე ჩემს უმცროსთ ძმებსა და დას და გავსწიეთ ქაქუცასაკენ, რომელსაც იმ ხანებში მუკუზანის ტყეში ედო ბინა. მთელი ღამე ვიარეთ და დილითღა მივაღწიეთ დანიშნულ ადგილამდე. მივუახლოვდით თუარა დარაჯმა დაგვიძახა ვინა-ხართ პაროლიო. ჩვენც ვუთხარით და გაგვიშვეს. მივედით ერთ ნახევრად დანგრეულ ეკლესიასთან. რაზმელები ცეცხლის გარშემო იყვნენ წამოწოლილი ქაქუცაც იქვე ახლო ხის ქვეშ იწვა. ჩვენს დანახვაზე ყველა წამოიშალა და მოგვესალმნენ. მამა ქაქუცასთან მივიდა მიესალმა და უთხრა: აი ქაქუც ჩემი ბიჭი მოგიყვანე სამშობლოსათვის შემიწირნიაო. მოიხმარე როგორც გინდოდეს თუ უვარგისობა გამოიჩინოს დასაჯე არ დაინდო ხოლო თუ გიღალატოს მოჰკალ რადგან ასეთი შვილი მე აღარ მენდომებაო. მე იქვე ვიდექ და ცახცახით ყურს ვუგდებდი. სულ ყრუანტელი მივლიდა ტანში. თავი სიზმარში მეგონა. ღმერთს მადლსა ვწირავდი, რომ ასეთი ბედნიერება მომანიჭა და მეც მხვდა წილად სამშობლოსათვის

მებრძოლა გვერდით იმ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა ვისი სახელიც ქვეყანას პირზე ეკერა.

მამა დიდხანს არ დარჩენილა, ყველას გამოემშვიდობა, მე ცოტათი გავაცილე გზამდე ვიდრე ჩავიდოდით. აქ გამომემშვიდობა და კიდევ ერთხელ გამიმეორა: მაშ შენ იცი შვილო არ შემარცხვინო. ერთმანეთი გადავკოცნეთ და წავიდა. მე ისევ რაზმელებთან მივედი. ძალიან დაღლილი ვიყავი, მთელი ღამე ვიარეთ შეუსვენებლად, ძილმორეულს თვალები მეხუჭებოდა. რაზმელებმა დამიწყეს ლაპარაკი და ამბების გამოკითხვა, იმასაც მეკითხებოდნენ თელავში რამდენი ჯარი დგასო. მეც ვპასუხობდი როგორაც შემეძლო თან თვალები მეხუჭებოდა. მე ხომ ჯერ შეუჩვეველი ვიყავ უძილობას. ერთმა რაზმელმა სახელად მალაქიამ შემატყო რომ მეძინებოდა და მითხრა: გეტყობა რომ დაღლილი ხარ და უმჯობესია რომ ცოტა თვალი მოატყუო რადგან ამაღამ მივდივართ ქიზიყისაკენ და სიარული გაგიძნელდებაო. თანაც სიცილით დაუმატა ემანდ ერთი რბილი ქვა ეგდება სადმე აიღე და თავქვეშ დაიდეო. მე გავჯიუტდი რადგან ვშიშობდი არ ეფიქრნათ ე რა მძინარა ყოფილაო და ვუპასუხე არა სრულებით არ მეძინება ამაღამ კი არა თუნდაც ხვალ ვივლიო. იმ დღეს მართლაც ძრ დამიძინია. საღამო რომ მოახლოვდა ბელადმა მეთაურებს უბრძანა ათეულები მოამზადეთო. რაზმი ათეულებად იყო დაყოფილი ხოლო ათეულები – სამეულებად. მე მესამე ათეულში ჩამრიცხეს. მეთაური მიშა ნაცვლიშვილი იყო. რაზმელები იყვნენ ვანო ჯამასპიშვილი და მალაქია მაისურაძე. როცა დაღამდა გზას გავუდექით, მთელი ღამე ვიარეთ და რიჟრაჟზე ერთი სოფლის მახლობელ ტყეში შევჩერდით. ქაქუცამ ორი რაზმელი გაგზავნა სოფელში ჩვენ კაცთან რომ საჭმელი ამოეტანათ. აქ დაღამებამდე დავრჩით და როცა დაღამდა კვლავ ქიზიყისაკენ გავსწიეთ. ძალიან ფრთხილად და ჩუმად მივდიოდით არ გვინდოდა რომ ჩვენი ქიზიყისაკენ მოძრაობა აღმოჩენილიყო. სოფელ მაჩხაანში რომ ჩავედით იქ ჩვენი მომხრეები მრავლად იყვნენ , ბელადი მათ მოელაპარაკა და საჭირო დარიგება მისცა. . მაჩხაანიდან მეორე სოფელში რომ მივდიოდით, გზაში ჩვენდა უნებურად და მოულოდნელად, მილიციელებს წავაწყდით, რომელთაც იარაღი ავყარეთ და გავუშვით, რადგან უპარტიო სოფლელი მილიციელები იყვნენ. ცხადია ისინი იძულებული იყვნენ ეთქვათ თუ სად დაჰკარგეს იარაღი. ამგვარად ჩვენი იქ ყოფნა გაიგეს და მთავრობამ ზომების მიღება დაიწყო. დაატუსაღეს რამდენიმე ჩვენი აგენტი რომელნიც იჭვის ქვეშ ჰყავდათ და ისეთი ენერგიით დაგვიწყეს დევნა რომ საქმე გაგვიჭირეს. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა, საჭმლის ამოტანას ველარ ბედავდნენ. იყო შემთხვევა რომ ორი-სამი დღე უპუროდ ვიყავით, მკვახე ტყემალსა და ყინტორას ვჭამდით( ყინტორა ბალახია, იჭმევა) ჩვენ ჯერ არ გვინდოდა მილიციასთან შეტაკება მოგვსვლოდა, რადგან კიდევ ბევრი საქმე გვქონდა მოსაგვარებელი, მაგრამ ისე გაგვიჭირეს საქმე , რომ ბოლოს ჩვენ დავუწყეთ მათ დევნა.

ჩვენ წინააღმდეგ სამოქმედოდდაახლოვებით ასი კაცი იყო შეკრებილი. სიღნაღის მაზრის მილიცია , ქვემო და ზემო მაჩხაანის რაიონის მილიცია და კიდევ კომსომოლები. ბევრი ძებნა არ დაგვჭირებია. ერთ მშვენიერ დღეს, ყარაყაჯის ტყეში დგომისას, მთელ ყარაყაჯის კალოებს და შარაგზას რომ გადავყურებდით. რომელიც თუქურმიშისკენ მიდის , საჭმლის ამომტან ჩვენს კაცს ველოდებოდით. მე სწორედ დარაჯად ვიდექი და დურბინდით ვზვერავდი ყარაღაჯის გზას. უცბად დავინახე ცხენოსანი რაზმი და მაშინვე ბელადს შევატყობინე. ქაქუცამ დაკვირვებით გასინჯა და გვითხრა ჩვენი მდევარია თუქურმიშაში მიდიან და ხვალ მაჩხაანში დაბრუნდებიან, მაგათ უნდა გზა შევუკრათო. გვიბრძანა წასასვლელად მოემზადენითო. იმ ადგილამდე უნდა მისულიყავით სადაც გზა უნდა შეგვეკრა. ჩვენი კაცი კი ჯერ არსადა სჩანდა. ვიფიქრეთ ალბათ ჩეკისტებისა შეეშინდა და აღარც მოვაო. ის იყო წასვლას ვაპირებდით და გამოჩნდა კიდეც. მან საჭმელი მოგვიტანა და გვითხრა :ჩემს კალოზე ჩეკისტებმა გამოიარესო, ასი კაცი იქნება, მკითხეს აქეთ მხარეს იარაღიანი ხალხი ხომ არ გინახავსო. მივხვდი რომ თქვენზე მეკითხებოდნენ, და აბა რას ვეტყოდი, მე ვუპასუხე არავინ მინახავს მეთქი. ძალიან დამემუქრნენ და მითხრეს თუ გავიგეთ რომ შენ ქაქუცას ხალხს ეხმარები დახვრეტა არ აგცდებაო. გაბრუნდნენ და წავიდნენ თუქურმიშისაკენ. მე კი მაშინვე თქვენკენ წამოვედით, სულ სირბილით მოვედი აქამდინ ვიცოდი რომ მშივრები იყავით. მე მგონი ეგენი ხვალ დაბრუნდებიან და აბა თქვენ იცითო. ეს გვითხრა და საჩქაროდ წავიდა. ჩვენ ცოტა შევნაყრდით და მოსაღამოვდა თუარა გავუდექით გზას. მთელი ღამე ვიარეთ და გათენებისას მივაღწიეთ ადგილს სადაც გზა უნდა შეგვეკრა. იმ ადგილს უზუნდარის ხევი ერქვა , იგი თუქურმიშსა და მაჩხაანს შორის მდებარეობს და თუქურმიშიდან მომავალი კაცი ამ ხევს არ აცდება. ბელადმა რაზმი გაანაწილა. ორ-ორი სამ-სამი კაცი ჩაგვსხა გზის პირას ტყეში და გვითხრა როდესაც ჩემ ხმას და ჩემი თოფის გავარდნას გაიგონებთ. მაშინ დაიწყეთ სროლაო. ჩავსაფრდით და დავუწყეთ ლოდინი. დიდხანს მოგვიხდა ცდა, შუადღე მოტანებულიყო , როცა ცხენების ფეხის ხმა მესმა. ჩვენ გულისფანცქალით ველოდით და განაბულებივუცდიდით ბელადის ბრძანებას. ცხენოსანთა ლაპარაკი გარკვევით გვესმოდა. ერთი ამბობდა ნეტა მათ შემახვედრა და ნახონ რა დღეს დავაყრიო. უცბად ბელადმა შესაზარი ხმით დაიძახა: დაჰყარეთ იარაღიო და ესროლა. ჩვენც მაშინვე დავცხეთ და თან გზაზედ გადავეშვით , რომ არ გაქცეულიყვნენ. ზოგი უკვე უსულოდ ეგდო, ზოგი მძიმედ დაჭრილი კვდებოდა , ზოგი მჩატედ იყო დაჭრილი. რამდენიმე დაჭრილი

კაცი ცხენებმა გაიტაცა და გადარჩნენ. ცოცხლად დაჭერილთა უმეტესობა დაკითხვის შემდეგ დაიხვრიტა. ნადავლი იარაღი შევკარით, ცხენებს ავკიდეთ და ერთ სოფელში ჩვენს კაცს მივაბარეთ. ბოლშევიკებმა დევნა უფრო გაგვიხშირეს. მთელი ქიზიყის მაზრა ჯარებით გაივსო. დაიჭირეს ყველა, ვიზედაც ოდნავ ეჭვი ჰქონდათ ჩვენთან კავშირისა. შეკრეს ყველა სოფლის გზები, რომ საშუალება არა გვქონოდა სოფელში ჩასვლისა. მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. ერთ ღამეს ჩავედით სოფელში , ყარაულები გავაქციეთ , და სანოვაგით დატვირთულები არხეინად ამოვედით ტყეში. მაგრამ მას შემდეგ , რაც მთავრობის ხალხთან შეტაკება მოგვიხდა, იმ მიდამოებში ჩვენი დარჩენა ძნელი იყო. თანაც რაც გასაკეთებელი გვქონდა უკვე გავაკეთეთ და ამიტომ ბელადმა გადაწყვიტა ამ ადგილებს დროებით მაინც გასცლოდა და რაზმი თელავის მიმართულებით დაიძრა.

ამ დროს დაახლოებით ოცამდე ვიქნებოდით. უნდა დავასახელო მეთაურთაგან ვისი გვარიც მახსოვს. ორ ათეულთაგან თითოეულს მეთაურობდნენ: მ. ნაცვიშვილი და ვანო ჯამასპიშვილი (იუნკერი). ქაქუცას ახლდნენ მისი თანაშემწენი, რომელთაც შეიძლება შტაბი დაერქვას. ესენი იყვნენ სოსო ლოსაბერიძე, ელიზბარ ვაჩნაძე და დამკომის კაცი ხანშესული ინტელიგენტი ყიფიანი. იგი იარაღის კაცი სრულიადაც არ იყო და რამდენადაც ვიცი უმთავრესად მომხდარ ამბების აღწერას ეწეოდა,მაგრამეს არაიარაღის კაცი როცა იძულებული იყო ვაჟკაციც აღმოჩნდა. მაგალითად ხევსურეთის ამბების დროს, რაზედაც შემდეგ ვისაუბრებ.

ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ უნდა მიგვეღწია წინანდლის ტყისათვის. ეს ადგილები ალბად იმიტომ აირჩია ბელადმა, რომ იქ მას ძალიან მაგარი და კარგად მოწყობილი მომხრეთა ორგანიზაცია ეგულებოდა. ვიდრე წინანდალს მივიდოდით ბელადმა ადგილობრივ კავშირებს შეატყობინა რომ ჩვენ მოვდიოდით და ის ადგილიც აცნობა, სადაც დაბანაკებას ვაპირებდით. ეს ადგილი ციცგომბორის კალთებზე მდებარე დიდ ტყეში იყო. ჩვენებს თადარიგი უნდა დაეჭირათ იქ საჭმელის ამოსატანად. ამასთანავე ქაქუცას სურდა ადგილობრივი მოსახლეობის განწყობილება უკეთ სცოდნოდა, რომ ადგილზე არსებულ ძალების აღრიცხვა მოეხდინა მოსალოდნელ უფრო ფართო ოპერაციებისათვის. ქაქუცას წესადა ჰქონდა, რომ ბანაკის ადგილი იმგვარად აერჩია, რომ მტრის თავდასხმის შემთხვევაში თავდაცვის საშუალება უკეთესი ჰქონოდა და ამავ დროს გარღვევაც შესაძლებელი ყოფილიყო. ამიტომ იყო რომ არასოდეს ჩვენ თავდამსხმელს ადრევე არ გავცლივართ, არამედ ჯერ ბრძოლას გავუწევდით და მხოლოდ მას შემდეგ რაც მტერს დიდ ზარალს მივაყენებდით მოხერხებულად გავეცლებოდით ხოლმე — სათანადო ბრძანების მიღების შემდეგ.

ამგვარად დავბანაკდით წინანდლის თავში, ტყეში რომელიც მდებარეობს წინანდალსა და ციცგომბორის მთას შორის. იქ ველოდებოდით სურსათის მომტანს ვისი ვინაობაც არ ვიცოდით.

საღამო მოვიდა და ნიაღვარიც თავს დაგვატყდა. ბინები ჩვენ არა გვქონდა. ზაფხული იყო მხოლოდ ცეცხლები გვენთო, რომ ტანსაცმელი გაგვეშრო. უკვე ღამე იყო, ათ საათს გადასცილდა, მაგრამ ჯერ არავინ მოსულიყო. მომსვლელს უხვად დაეძახნა პაროლი თევდორე და დარაჯებმა ეს იცოდნენ. ამ მოლოდინში მყოფთ შორიდან რაღაც ძახილი შემოგვესმა. ჯერ კარგად ვერ ვარჩევდით, მაგრამ თითქოს ვიღაც სიტყვა თევდორეს იძახდა. მაგრამ ეს ძახილი იმდენად შორეული და გაურკვეველი იყო, რომ ერთმა რაზმელმა აზრი გამოთქვა: კაცი კი არა იძახის ფრინველიაო და მართლაც არის ისეთი ფრინველი, რომლის ძახილი თევდორეს მოგვაგონებს, არ მახსოვს იმ ფრინველს რა ჰქვია. მაგრამ ხმა მოახლოვდა და უკვე გარკვეულად ვარჩევდით, რომ ფრინველი კი არა კაცი იძახდა. როცა ამაში დავრწმუნდით მაშინ ქაქუცამ შუშუს უბრძანა ბადური (ე.ი. მე) თან წაიყვანე და იმ კაცს შეხვდითო. ამგვარად მე და სულხანიშვილი ხმის მიმართულებით წავედით კაცთან შესახვედრად. წინ შუშუ მიდიოდა, მე მას მივსდევდი. მოულოდნელად წინ მავალი გაჰქრა. როცა მე იმ ადგილთან მიველ, სადაც შუშუ გაჰქრა, მიზეზი გავიგე: სულხანიშვილი სიბნელის გამო ხრამში გადავარდნილიყო. ხრამი საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა. ხელს ვერ ჩავუწვდენდი და იძულებული ვიყავ ცოტათი თვითონ ჩავსულიყავ სიღრმეში დიდი სიფრთხილით და ამის შემდეგაც მხოლოდ ხის მოტეხილი ტოტის საშუალებით შევძელ უფრო ღრმად მყოფ სულხანიშვილის მოშველება და მისი ამოყვანა. საბედნიეროდ მას არა სჭირდა რა. ისიც იყო ორივენი მაღლა ამოველით და თევდორეს ძახილი სულ ახლოს გაისმა. მამაჩემის ხმა ვიცანი. როცა ერთმანეთს დავუახლოვდით, ცდადია აღელვებული შვილი მამას გადაეხვია. ალბად ჩემზედ უფრო აღელვებული მამაჩემი იქნებოდა, მაგრამ მან ეს არ შეიმჩნია. ესღა მითხრა: შვილო შენა ხარო? მან ამის შემდეგ რა ილაპარაკა აღარც კი მახსოვს. მას თან ცხენი მოჰყავდა — პირამდე სანოვაგით სავსე ორ ხურჯინგადაკიდებული. ასე მოვიყვანეთ მამა ჩვენს ბანაკში. იქ საერთო მისალმების შემდეგ, მამაჩემი და ქაქუცა ცალკე გავიდნენ და საქმეზე ლაპარაკობდნენ. მამაჩემი მარტო სანოვაგის მომტანი როდი იყო, მას უნდა ქაქუცასთვის მოეხსენებია მთელი მდგომარეობა და ინსტრუქციები მიეღო თუ რა უნდა მოემოქმედნა. ამ საუბრის დროს მამაჩემისაგან მიღებულ ინფორმაციების საფუძველზე გადაწყვიტა ქაქუცამ, რომ წინანდლის შემწუხებელ რამდენიმე კომუნისტის მოშორება აუცილებელი საქმე იყო. ესენი იყვნენ: წინანდლის ჩეკის უფროსი კირაკოზოვი, პარტკომის მდივანი დაგონდარიძე, მილიციის უფროსი მეგუთნიშვილი და მეორე, რომლის გვარიც არ მაგონდება. საქმის დეტალები და პირობები უფრო გვიან უნდა გამომუშავებულიყო. მამაჩემი ჯერ საბო-

ლოო გეგმის გამოუმუშავებლად გამოგვეთხოვა: მხოლოდ ქაქუცას უთხრა ჩვენ თვითონ შეგატყობინებთ რა დროს და რა პირობებში იქნება შესაძლებელი ამ მავნე ხალხის თავიდან მოშორებაო. იმ კირაკოზოვს რამდენიმეჯერ ჰყავდა მამაჩემი დატუსაღებული და სარდაფში გამომწყვდეული; გაატიტვლებდნენ ხოლმე, ცივ წყალს გადაასხამდნენ და ასე ცდილობდნენ მის გამოტეხას; კირაკოზოვი მისგან მოითხოვდა შენი შვილი უკან მოიყვანეო, რაზედაც მამაჩემს უპასუხნია, მოყვანა რა, სათქმელია მეორისაც იზრდი რომ იმავე გზაზე გავუშვაო.

ერთ დღეს შეგვატყობინეს, რომ ამადაამ რიცხვს წინანდალში უნდა დაიდგას წარმოდგენა, რომელზედაც ზემოდნახსენები მავნე კომუნისტებიც დაესწრებიანო და როგორც ჩვეულებაა იყო წარმოდგენის შემდეგ თეატრისავე დარბაზში სუფრა უნდა გაშლილიყო. გადაწყდა ამ შემთხვევით გვესარგებლნა ჩვენ მიერ განზრახულ საქმის ასასრულებლად. დანიშნულ დღისათვის ქაქუცამ გამოჰყო ათიოდე კაცი ელიზბარ ვაჩნაძის მეთაურობით. ამ ჯგუფში მეც ვიყავი, რადგან წინანდლის ვითარებას სწორედ მე ვიცნობდი. თეატრის შენობა ეკლესიის ეზოში იდგა, ამავე ეზოში ცხოვრობდა მღვდელიც, ხოლო მისი სახლის უკან იყო ვენახი, რომელშიც ჩვენ უნდა დაგვეცადნა კაცისათვის, ვინც იმ კომუნისტების მოსვლას და იქ ყოფნას შეგვატყობინებდა. ბევრი ცდა არ დაგვჭირებია, კაცი მოვიდა და გვაცნობა ყველანი მოვიდნენო. გეგმის მიხედვით, ვინაიდან მე წინანდალში მიცნობდნენ დარბაზში არ უნდა შევსულიყავ და ამიტომ მე და შალიკო კანდელაკს დაგვევალა დარბაზის ორი კარის შეკვრა, რომ არვინ გაქცეულიყო. ასეც მოვიქეცით. ჯგუფის დანარჩენი შემადგენლობა დარბაზში შეიჭრა და ელიზბარმა შეჰყვირა: არ გაინძრეთ ხელები მაღლაო. შეშინებულმა კომუნისტებმა რევოლვერები, ნაცვლად მოხმარისა მაგიდის ქვეშ შეჰყარეს, მაგრამ ამან მათ მიერ ხელის აწევა დააგვიანა და ელიზბარმა ხელმეორედ დასჭექა ხელები მაღლაო. ახლა კი იკადრეს დამორჩილება. ლელო ჩიქოვანს წასაყვანი ხალხის სია ჰქონდა და დაიწყო რომელია კირაკოზოვიო. მე კარებში მდგომმა გავიგონე პასუხი: აქ არ არის, ძმაო, და გავიფიქრე ნუთუ აქ არ არის მეთქი. შიგ შევიხედე და დავინახე, რომ მოპასუხე თვით კირაკოზოვი იყო და ლელოს დავუძახე ლელო ეგ თვითონ არის კირაკოზოვი მეთქი. დარბაზში სხვა ხალხში მამაჩემიც იყო ისიც ხელებაწეული, მან ხმაზე მიცნო და ჩემსკენ გამოიხედა, მაგრამ მე უკვე ისევ კარებს ვიყავ ამოფარებული. ჩვენები დარბაზში კულისებიდან შეცვივდნენ და დარბაზს სცენიდან დაჰყურებდნენ. ლელომ კირაკოზოვს მაღლა ამოსვლა უბრძანა და როცა იგი ავიდა, ლელომ მას რევოლვერის კონდახი ჩაარტყა თავში და დანარჩენებს დაუწყო გამოძახება. ყველანი თავისი ნებით ავიდნენ და სცენაზევე დაუწყეს მათ ხელების შეკვრა. შემდეგ გარეთ გამოვიყვანეთ და ტყისაკენ გავსწიეთ, რომ ორივე დაჭერილი ქაქუცასთან მიგვეყვანა.

მაგრამ ჩვენ კიდევ ერთი ამოცანა გვქონდა ასასრულებელი. საჭირო იყო ერთი სხვა დიდი კომუნისტის დატუსაღებაც, რომელსაც ნიკო ერქვა მაგრამ ყველანი ურგებას ეძახდნენ მეტსახელად. ეს კაცი ვიდრე დიდი კომუნისტი გახდებოდა მამაჩემის მოჯამაგირე იყო ჩვენ სახლში და მისი დედაც ჩვენი სახლის შინაური იყო. ხშირად მოდიოდა ჩვენსას და მე ბალღობისას მის კალთაში მითამაშნია. ცხადია, მე ამ კაცს კარგად ვიცნობდი და როდესაც ელიზბარმა მე, ლელოს და სერგო მაისურაძეს დაგვავალა წადით და დაიჭირეთო, მე ელიზბარს ვუთხარი: ელიზბარ, ის ვაჟკაცია ცოცხლად მისი დაჭერა შეუძლებელია და იძულებული ვიქნებით იქავე მოვკლათ მეთქი, მაგრამ ელიზბარმა ბრძანება გაგვიმეორა და აგვიხსნა: ჩვენ მოკვლის ბრძანება არა გვაქვს, ასეთი რამ გასამართლების შემდეგ უნდა მოხდეს და რაც არ უნდა დაგიჯდეთ, ცოცხალი უნდა წამოიყვანოთ. მაშინ მე მომაგონდა, რომ ჩვენ სხვებთან ერთად ორი მილიციელი (გვყავდა დატუსაღებული), რომელნიც უფრო იმიტომ წამოვიყვანეთ, რომ ნადიმისათვის დამზადებული ყაურმა და ჩახოხბილი მათთვის ზურგზე აგვეკიდნა წამოსაღებად და მე ელიზბარს ვთხოვე ერთი მათგანი ჩვენ მოგვეცა რომ იმის საშუალებით ურგება სახლიდან გამოვიტყუოთ მეთქი. კარგიო და ასეც მოვიქეცით. ურგებას სახლს რომ მივუახლოვდით შუა ღამე გადასული იყო. მე მილიციელს ვუთხარი აქედან ნიკოს დაუძახე და უთხარი კირაკოზოვი საჩქაროდ გიბარებსო ლელო და სერგო კარების ორთავ მხარეს დადგნენ, რომ როცა ურგება გამოვიდოდა ხელი წაევლოთ — რაკი სროლის ნება არა გვქონდა. მილიციელმა ბრძანება აასრულა და რამდენჯერმე დაუძახა ნიკო ნიკოო. ურგებამ ვიდრე გამოვიდოდა ჰკითხა ვინა ხარ, რა გინდაო. მილიციელმა თავისი ვინაობა ამცნოდა დაუმატა კირაკოზოვმა გამომგზავნა სასწრაფოდ მოდიო. ამ სიტყვებზე ურგებამ კარები გააღო და პერანგის ამარად კარს გარეთ ერთი ნაბიჯი გადმოდგა. ლელომ და სერგომ ორივე მხრიდან რევოლვერები დაადეს, სერგომ პერანგში ხელი წაავლო და უთხრა წამოდიო. ქვეშ ჩამოვიდნენ და შუა ეზოში რომ იყვნენ, ურგებამ დამინახა, მიცნო, ყოველივეს მიხვდა თუ წამყვანები ვინ იყვნენ და სად უპირებდნენ წაყვანას. მან სერგოს ხელიდან გასხლტომა და გაქცევა მოინდომა მაგრამ სერგოს ისე მაგრად სჭეროა იგი, რომ ორთავენი მიწაზე დაეცნენ. ამ დროს ურგებას დედაც გამოვიდა, რომ გაეგო რაში იყო საქმე. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა და წაქცეულმა სერგომ, რომელიც თვითონ ვერაფერს ახერხებდა, ლელოს დაუყვირა: ლელო ესროლეო. მეც შემეძლო სერგოს მივხმარებოდი და მესროლა, მაგრამ მისი დედა რომ დავინახე, ხელები შემეკრა. ველარ შევძელ დედის წინ მისი შვილი მომეკლა— მით უმეტეს რომ მისი დედა ჩემთვისაც დედასავით მახლობელი იყო. ლელომ ესროლა, ურგებას დედა შვილს ზედ დააცხრა და თან ჰკიოდა ვაიმე შვილი მომიკლესო. ხელებგაშლილი ურგება მკვდარივით გულაღმა ეგდო უძრავად ჩვენ მოკლულიც გვე-

გონა, მაგრამ არც შემოწმება შეგვეძლო - დედას ხომ ვერ ავაგლეჯდით შვილის დამტირებელს და ზედ მეორე ტყვიას ხომ ვერ დავახლიდით. დიდხანს დაყოვნება ჩვენ იქ არ შეგვეძლო და ჩვენებისაკენ გავსწიეთ. ურგება მხოლოდ მკლავში ყოფილა დაჭრილი და დედის ჩარევამ გადაარჩინა.

ბინებს რომ მივაღწიეთ უკვე დღე იყო. ქაქუცამ საველე სასამართლო გამართა და დაჭერილებს ბრალდებად წარუდგინეს მათი ნამოქმედარი, რისთვისაც სიკვდილი მიესაჯათ. განაჩენი მაშინვე სისრულეში იქმნა მოყვანილი — ოთხივე დაიხვრიტა.

წინანდლის თეატრიდან რომ კომუნისტები გამოვიყვანეთ, მათ შორის, ჩვენი ანგარიშით, ერთი ძალიან მავნე კომუნისტი , ხიდაშენის კომისარი ძულიაშვილიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღაც მიზეზით იგი საღამოს არ დაესწრო და გადარჩა. ცოტა ხნის შემდეგ მოსახლეობისაგან ისევ ჩივილი მოვიდა, ეს კაცი ძალიან გვაწუხებს მოგვაშორეთო. ამის შესრულების შემთხვევაც მალე მოგვეცა. ძულიაშვილმა მოინდომა თავისი ხელით ჩამოეგდო ხოდაშნის ეკლესიის ჯვარი და იქადნებოდა, აი ნახეთ, ღმერთი თუ არსებობს და რამე შეუძლია, აბა რამე მიყოსო და ჯვარის ჩამოღებისათვის დანიშნულ დღისათვის ხალხის შეკრება ბრძანა. ამ შემთხვევის გამოსაყენებლად ჩვენც მოვემზადეთ და წინასწარ შევადგინეთ ძულიაშვილის დასჯის გეგმა. კაცმა, რომელიც ამ საქმისათვის ცნობებს გვაწვდიდა გვითხრა: ეკლესიის გვერდით ერთი მარტოხელა ქვრივი და საწყალი კაცი ცხოვრობს, იგი ჩვენი კაცია, მისი სახლის სხვენიდან ეკლესიის გუმბათი კარგად მოჩანს და სასროლ მანძილზეა. მე იმ კაცს გავაფრთხილებ, რომ ორიოდე დღით სხვაგან სადმე ნათესავებში წავიდეს. თქვენ კი ხალხი გამოგზავნეთ, იმ კაცის სახლის სხვენში ავიდნენ და როცა ძულიაშვილი გუმბათზე ავა ჩამოაგდონო. ქაქუცამ ამსრულებლად მე და სულხანიშვილი გაგვგზავნა. ჩვენც იმ კაცის სხვენზე დავიკავეთ ადგილი და როცა ძულიაშვილმა თავისი დანაქადის ასრულება დაიწყო, ორი ტყვიით გახვრეტილი თავდაღმა გადმოეშვა გუმბათის სიმაღლიდან. ხალხს ძალიან გაუხარდა და ამბობდენ , აი ღმერთმა როგორ დასაჯაო. სახლის პატრონი ორი დღის შემდეგ რომ დაბრუნდა, ცხადია დაიჭირეს, მაგრამ მან გაიკვირვა, რა კაცები რის კაცები მე არა ვიცი რა იკითხეთ მე სამი დღეა სხვაგან ვიყავი და რა ვიცი სახლში ვინ მოვიდა ან სხვენში როგორ ავიდნენო. ეს მან ისე ბუნებრივად განაცხადა, რომ დაუჯერეს და გადარჩა.

ამ ამბების შემდეგ ცხადია ჩვენ ძლიერ მდევარს მოგვისევდნენ და შელადმა ადგილის გადანაცვლება გვიბრძანა. რაზმი ტყეში უფრო ღრმად შევიდა, გომბორის მიმართულებით. ახალ ბინიდან ქაქუცამ სამი კაცი გაგზავნა სანოვაგესათვის მეცხვარეებში, რომელნიც იმ მიდამოებში გვეგულებოდა. წავიდნენ მიტო ხმალაძე, ირაკლი ბაკურაძე დალადო ოზანელი. როცა გაგზავნილები დანიშნულ დროს არ დაბრუნდენ, შევწუხდით, რადგან მათი დაგვიანება კარგს არას მოასწავებდა და ჩვენი წუხილი საფუძვლიანი გამოდგა. უკვე კარგა დაღამებული იყო , როცა ლადო ოზანელი გამოჩნდა და მან გვიამბო , თუ რა შეემთხვათ. თურმე როდესაც გომბორის სიმაღლეს შეუდგნენ ღრმა ბურუსში მოხვედრილან. სრულებით არაფერი ჩანდაო, მაგრამ მათ გზა განუგრძვიათ და როდესაც ისეთ ადგილზე გავიდნენ , სადაც ბურუსი უკვე გადაყრილიყო, პირდაპირ შეეჯახნენ ჩვენსკენ წამოსულ მდევარის ძლიერ რაზმს. სხვა გზა არ იყო, ორივე მხრიდან ატყდა ძლიერი სროლა. ხმალაძე და ბაკურაძე თითქმის მაშინვე მოუკლავთ, ოზანელმა კი მოახერხა ხრამში გადამხტარიყო და უვნებლად გადარჩა. ასეთი ამბავი მოგვიტანა მან. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ მდევართა შორის ერთი მოკლული და რამდენიმე დაჭრილი ყოფილა. ამის შემდეგ ჩვენი სურსათის საკითხი კიდევ უფრო გართულდა და ქაქუცამ გადაწყვიტა ამ ადგილებს საერთოდ დროებით მაინც გავცლოდით და დუშეთის მაზრაში გადასვლა აირჩია.

მაშინ ჩვენთან უკვე ირიცხებოდენ დუშეთელი გაბო ოძიაშვილი და ისობ ქიმბარიშვილი, მოკლედ ქიმბარად წოდებული, ორთავე ვაჟკაცი ბიჭები. დუშეთის მხარეში მშვიდობით გადავედით და იქაურ ტყეში შევიხიზნეთ, რომელიც მართალია თავისი სივრცით კახეთის ტყეებს ვერ შეედრება მაგრამ მაინც საკმარისი იყო ჩვენთვის თავშესაფარად.

როგორც მახსოვს და თუ არა ვცდები აქედან მოხდა ქაქუცას პირველი წასვლა ტფილისში დამკომთან შეხვედრად. მას თან ახლდნენ გაბო ოძიაშვილი და სერგო მაისურაძე. დაბრუნების შემდეგ, ტფილისში მიღებულ გადაწყვეტილების შედეგად გამოგვიცხადა ისევ კახეთში გადასვლა არისო საჭირო. ჩვენც ბარგი ავყარეთ და კახეთისაკენ წავედით. გზაში ქიმბარამ კოჭი იღრძო, ფეხი დაუსივდა და ველარ დადიოდა. რაზმი მას ვერ მოუცდიდა და ქაქუცამ გადსწყვიტა , რომ იგი მორჩენამდე ადგილზე დარჩენილიყო. მაგრამ რადგან მისი მარტო დატოვება არ შეიძლებოდა, მე მიბრძანა მასთან დარჩიო. ბედზე ჩვენ დუშეთის მხარე ჯერ დატოვებული არ გვქონდა და არც ძალიან შორს ვიყავით ქიმბარის სოფლიდან, რომელსაც ჭოპორტი ჰქვია. გაჭირვებით მაგრამ უმარცხოდ მივაღწიეთ ჭოპორტის ტყეს. ქიმბარს მოვლის გარდა წამალი და წამლობა ესაჭიროებოდა, რომ უფრო მალე მორჩენილიყო. ამიტომ მან გამგზავნა მის სოფელში — ჭოპორტში, სადაც მას ერთი რუსი ფერშალი ეგულებოდა. დაწვრილებით ამიხსნა თუ როგორ უნდა მეპოვნა მისი სახლი, ისე რომ არავის შევკითხებოდი. წავედი და ადვილადაც ვიპოვნე. ცხადია მის სახლს ღამით მივადექი. კარზე რომ დავარახუნე და გაიღო, მე მაშინვე დაუპატიჟებლად შევედი. იარაღიანი რომ დამინახა შეკრთა და მკითხა ვინ ხართ, რა გნებავთ. მე მივუგე ქაქუცას კაცი ვარ ჩემს მეგობარს ფეხი ელრძო , მისთვის შესახვევი და წამალი მჭირია და ამისთვის მოვედი მეთქი. თან დავუმატე ჩემი მოსვლა არავის უთხრათ, თორემ იცოდეთ სასტიკად დაისჯებით, სულ ამოგწ-

ყველა მეთქი. რუსმა მიპასუხა — რასა ბრძანებ, ოღონდ თქვენ არსად არ თქვათ, რომ მე გიშველეთ თორემ მე როგორ გავამხელი. ყველაფერი რაც საჭირო იყო — მალამო, ბინტები, ბამბა მომცა და დამარიგა როგორ უნდა მოვქცეულიყავი. თან კომპრესის დადების წესიც ამიხსნა. ამ საშუალებებმა ქიმბარი მალე ფეხზე წამოაყენა და რამდენსამე დღეში უკვე გვარიანად დაიოდა.

ეს ქიმბარი უკვე დიდი ხნის ნაყაჩაღარი იყო, იგი რევოლუციამდეც ყაჩაღობდა თურმე. ძალიან თვითნება და თავისებური კაცი იყო, რომლის მოთვინიერება ხოლოდ ქაქუცას სახელს, საქმეს და პიროვნებას თუ შეეძლო. ქაქუცასთან მისი ყაიდის ხალხი სხვაც იყო, მაგრამ ჩვენთან მათ ყაჩაღობის არც ნება ჰქონდათ და მგონი სურვილიც კი ჰქონდათ დაკარგული. რუსებთან ბრძოლაში კი სხვებს თუ არა სჯობდნენ, არც ჩამოუვარდებოდნენ. ქიმბარი თითქმის მორჩენილი იყო, მაგრამ როცა მე ვუთხარი წავიდეთ კახეთში ჩვენებს შევუერთდეთ მეთქი, მიპასუხა: რა გეჩქარება, შენ ქაქუცამ ჩემთან მომვლელად დაგტოვა, როცა მთლად მოვრჩები, მე თვითონ მეცოდინებაო. მანამდე კი მიმოდ-მოვიდეთ, დრო გავატაროთ, აქ მე ბევრი მასპინძელი მყავსო. მერე აღმოჩნდა, რომ მისი მასპინძლები მუდამ საკუთარი სურვილით როდი მასპინძლობდნენ მას. ასე მაგალითად იგი სწორედ ნაცნობ კომუნისტს მიადგებოდა ჩემთან ერთად დაუპატიჟებელ სტუმრად და ჩემ შენიშვნაზე — ქიმბარ, რაღა კომუნისტთან მიდიხარო, მეტყოდა სწორედ იმასთან უნდა მივიდე, თორემ სხვას რომ ვეწვიო და გაიგონ ჩემი მასპინძელიც დაიღუპება და იქნებ ჩვენც დაგვიჭირონ, რადგან ვინმე დაგვაბეზღებს, კომუნისტთან კი როცა მივალთ, თავის თავს ხომ არ დააბეზღებს და ვერც ჩემ მიღებაზე გაბედავს უარის თქმას, მე ამ მხარეში სახელი მაქვს და პირისპირ ვერვინ რას შემომბედავსო. და ასეც იყო, სადაც კი მივიდოდით, არ ვიცი გულში რა ედოთ, მაგრამ გარეგნულად დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ და უხვად გვიმასპინძლდებოდნენ.

ასეთმა ცხოვრებამ გასტანა მანამდი, სანამ შემთხვევამ ეს არ შესწყვიტა, ერთ დღეს ტყეში მისი სოფლის ბიჭს წავაწყდით, რომელიც ნახირს მიერეკებოდა. ქიმბარი იმ ბიჭს კარგად იცნობდა, გააჩერა და დაავალა ჩემ ძმისთან მიდი და უთხარი მე რომ მომწონს ის კარგი ღვინო და სანოვაგე გამომიგზავნეთო და ადგილიც დაუნიშნა. ორიოდე დღე ვუცადეთ მაგრამ არავინ არაფერი მოიტანა. ქიმბარი გაბრაზდა და ჩემთან ერთად ერთ ღამეს მისი ძმის სახლში მივედით, ყვირილით მთელი ოჯახი გააღვიძა და ფეხზე წამოაყენა. — როგორ გაბედე და ჩემი შემონათვალი არ აასრულე, რატომ ღვინო და საჭმელი არ მომაწოდეო. ძმამ უპასუხა. რას ამბობ როგორ არ მოგაწოდებდი, მაგრამ იმ ბიჭს არ ვენდე, მეგონა გამოგზავნილი იყო ჩემს გამოსაცდელად, რომ გაეგოთ მქონდა შენთან კავშირი თუ არაო. აი ღვინო და რაცა მაქვს რამდენიც გინდა წაიღეო. შემდეგ თვითონვე ქათამი დაკლა, მოხარშა იქავე ვსჭამეთ და ერთი დიდი დოქი ღვინითა და სხვა სურსათით წამოვედით, ტყეშივე დავბრუნდით. მეორე დღით ამ ღვინის ნახევარი რომ დავლიეთ და საჭმელიც შევჭამეთ, ტყის პირას გზაზე ჩამოვედით და ქიმბარმა გამვლელ გლეხების გამასპინძლება დაიწყო. მე ხელში დოქი მეჭირა, იმას კი დიდი ჭიქა და ყოველ გამვლელს ღვინოს აწოდებდა. ამ ხალხიდან ქიმბარს ყველა იცნობდა და შეშინებულნი სვამდნენ და ქიმბარს ლოცავდნენ, ზოგი გულით, ზოგი ალბათ შიშითაც. ღვინო რომ გაგვითავდა ღამეს დავუცადეთ, რომ დოქი პატრონისათვის მიგვეტანა — იქნებ ქიმბარი ისევ ავსებასაც აპირებდა.

როცა ღამით სოფელში შევდიოდით ნათელი მთვარიანი ღამე იყო. გარეთ კიდევ ხალხი შევნიშნეთ და ერთ საბძელს ამოფარებული ვიცდიდით რომ შესაფერი დროთი გვესარგებლნა, ძმის სახლისაკენ გზის გასაგრძელებლად. ამ დროს დავინახეთ, რომ ვიღაც სწორედ ჩვენი მიმართულებით მოდიოდა და უსათუოდ დაგვინახავდა. ქიმბარმა შესძახა ვინა ხარო. კაცმა უპასუხა მე ვარ, რა გინდა თქვენიანი ვარო. მოდი, მოდი დაუძახა ქიმბარმა. კაცი რომ ახლოს მოვიდა, სოფლის მილიციელი აღმოჩნდა თოფიანი. ქიმბარმა მას თოფის კონდახი თავში დაარტყა, მილიციელი წაიქცა, მე მისი თოფი ავიღე, საკეტი გამოვაცალე და შორს გადავისროლე, ტყვიები კი, რომელიც მკერდზე გადაკიდებული ჰქონდა, მე გადავიკიდე — ტყვიები სწორედ რომ გვჭირდებოდა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ მეორე კაცი გამოჩნდა და ისიც ჩვენსკენ მოდიოდა. ქიმბარმა იმასაც დაუძახა ვინა ხარო მაგრამ კაცმა მგონი ქიმბარი იცნო და პასუხის ნაცვლად თოფი მოიმარჯვა. სროლა ჩვენ დავასწარით და კაცი დაეცა. ეს ამბავი კომისარიატის სულ ახლო ხდებოდა, სროლამ ყველას ყურადღება მიიქცია, მაგრამ ჩვენ გაქცევის ნაცვლად კომისარიატის ფანჯრებს დავაყარეთ ტყვიები. სინათლე ჩაქრა და გარეთ გამოსვლას ვერავინ ბედავდა, მხოლოდ ერთი მილიციელი უკვე გარეთ ყოფილა და ჩვენ რომ შიგ მყოფებს ვაგინებდით და ლენინსაც ვუგინებდით გულადედ მოგვაძახა: რაო, ვისა, ვისი დედაო და გვესროლა. მან ჩვენ ვერ მოგვარტყა, ჩვენმა საპასუხო ტყვიამ კი ის მოკლა.

ამის შემდეგ იმ ადგილს უნდა გავცლოდით, რადგან შეიძლებოდა სხვა დასხვა მხრიდან თავს დაგვესხმოდნენ. ამიტომ ქიმბარმა გადაწყვიტა მდინარის გაღმა სხვა სოფლის არემარეში გადავსულიყავით. ქიმბარი იქაც ყველას იცნობდა და მეგობრებიც ჰყავდა. მაგრამ ვიდრე მეორე მხარეზე გადავიდოდით, ერთ მეცხვარეს წავაწყდით. ისიც ქიმბარის ნაცნობი იყო. ცეცხლის პირას მიგვიღო ტიკჭორით ღვინო გადმოიღო და რაცა ჰქონდა — პურითა და ყველით გაგვიმასპინძლდა. მგონი გულით გვეუბნებოდა ღმერთმა თქვენს საქმეს გაუმარჯოს, მგლისა მუხლი მოგცეს და მტრისა ძლევაო.

მე ქიმბარზე უფრო ვფრთხილობდი, არც იმასავით ვსვამდი, არ ვიცი იგი სწორედ ჩემი სიფრთხი-

ლის იმედით სვამდა თუ მე იმიტომ ვფრთხილობდი, რომ ქიმბარის ნამეტანი დაუდევრობა მაშინებდა. ეს ჩემი სიფრთხილე იმაშიც გამოიხატებოდა, რომ თვალი და ყური მუდამ იქითკენ მეჭირა, საიდანაც ვიყავით მოსული, რადგან მდევარის მოსვლაც იქიდან უფრო იყო მოსალოდნელი. მართლაც ცხენის ფეხის ხმა მომესმა და ქიმბარს გავაგებინე, ქიმბარ, მგონი ცხენის ფეხის ხმა მოდის მეთქი. ქიმბარმა ყური დაუგდო და სთქვა — მართალი ხარ ალბად ჩვენი კვალი აიღეს, მდევარი უნდა იყოსო. მართლაც დავინახეთ, რომ ხევის ძირში ჯერ პირველი ცხენი გამოჩნდა, მას სხვებიც მოსდევდნენ. ჩვენ დაუყოვნებლივ იმ ადგილს მოვშორდით და იქვე მაღლობზე მდგომ დიდ ხეზე ავედით, საიდანაც ყველაფერი ჩანდა. ცხენოსნები ჩვენ მასპინძელ მეცხვარესთან მივიდნენ. მათი ლაპარაკი მაღლა გვესმოდა. მეცხვარე მათ ხელგაშლილი მიეგება თითქო მათი მოსვლა ძლიერ გახარებიყოს. ღვინო მიაწოდა თითო ჭიქა დალიეთო. უფროსი არ ჩამოხდა და ცხენზე მჯდომმა უთხრა: შენ აქ იარაღიანი ხალხი ხომ არ გინახავს, ქიმბარს ხომ იცნობ, ის ხომ არ შეგვხვედრიაო. მეცხვარემ უპასუხა, ქიმბარს პირადად არ ვიცნობ მაგრამ გამიგონია ქაქუცასთან გასული კაცი უნდა იყოს, მე აქ არ მინახავსო. თუ სადმე შეხვდე ან მისი კვალი გაიგო, მაშინვე გვაცნობე თორემ ხომ იცი რაც მოგივაო, უთხრა უფროსმა. რა თქმა უნდა გაცნობებთო, უპასუხა მეცხვარემ და ცხენოსნები წავიდნენ. ჩვენც ხიდან ჩამოვედით და ჩვენს გზას გავუდექით.

ჭოპორტის მახლობლად სხვა სოფელს მივადექით, ქიმბარი ნაცნობის სახლში მივიდა. იქ რომ ვიყავით მოვიდა ერთი დუშეთელი მილიციელი, რომელიც ჩვენი კაცი იყო და გვითხრა: ამა და ამ დღეს დუშეთიდან ამა და ამ კაცს მთავრობის ფული მიაქვს ეტლითაო. აბა თქვენ იცით და მეც ნუ დამივიწყებთო. ეს ჩვენთვის სასიხარულო ცნობა იყო და თადარიგი დავიჭირეთ. კაცმა ზუსტი თარიღი შეგვატყობინა, ჩვენც იმ დღეს მოხერხებულ ადგილას ჩავუსაფრდით. ადგილი ტყის პირას მდებარეობდა სამხედრო გზაზე, მას ბაგიჭალა ერქვა. ღამე იყო ბევრი ცდა არ დაგვჭირებია, ეუვნების შღარუნი მოგვესმა. მალე ეტლიც გამოჩნდა, როცა ჩვენ გაგვისწორდა გავაჩერებიეთ, და ორივე მხრიდან ეტლს მივადექით. ქიმბარს მაუზერი ეჭირა, მე პარაბელუმი მქონდა. ეტლში მხოლოდ ერთი კაცი აღმოჩნდა, საშუალო ხნისა პალტოში გამოხვეული, წინ კალათა ედო. მე მას უპირველესად ჯიბეები გაუსინჯე, ერთი ბრაუნინგი ჰქონდა და ამოვუღე. ქიმბარმა ჰკითხა ამ კალათით რა მოგაქვსო. კაცმა უპასუხა ჩემი ბარგია საცვლებია. გახსენი აბა ვნახოთო (კალათა სახურავიანი იყო, ზედ ბოქლომი ედო). კაცმა გააღო და როცა მე თავი ავხადე, კალათის პირზე მართლა საცვლები იყო დაფარებული, საცვლები რომ ავწიე მის ქვეშ ფულის შეკრული დასტები იდო. ბევრი არ გვილაპარაკნია კალათს ხელი დავავლეთ, მეეტლეს ვუბრძანეთ ცხენები გარეკე, არ შეაჩერო და უკან არ მოიხედოო. ეტლი წავიდა ჩვენ კი საჩქაროდ იმ ადგილს გავშორდით.

შემდეგ უფრო გვიან გავიგეთ, რომ ჩვენი ექსპედიციის ასე ადვილი წარმატება ცნობის მომცემი მილიციელის მოქმედების წყალობით მომხდარა. ის მილიციელი თურმე იმავე დროს და იმავე გზით, მილიციის უფროსთან და სხვა რამდენიმე მილიციელთან ერთად ცხენით ტფილისისაკენ მოდიოდა, რომლესაც იმ ადგილს მოახლოვებულან, სადაც ჩვენ ეტლს უნდა დავხვედროდით, რაც მილიციელმა თვითონ იცოდა, იგი შეეცადა, მათ რაზმს და ეტლს იმ ადგილთან ერთსადაიმავე დროს არ გაევლო. ამიტომ მან თავი მოიავადმყოფა, ცუდადა ვარო ცხენიდან ჩამოხდა და ამგვარად მთელი რაზმიც რამოდენიმე წუთით დააგვიანა — სწორედ იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ეტლმა ჩვენამდე მარტო მოაღწია. ამიტომ შევძელით განზრახულის ასე ადვილად შესრულება, თორემ ეტლსა და რაზმს ერთად რომ გაევლოთ ცხადია ორი კაცი ასეთ რამეს ვერ შეასრულებდა.

ამის შემდეგ მე ქიმბარს ვუთხარი, ქიმბარ ახლა დრო არის ქაქუცასთან დაბრუნებისა, მოდი ვიდრე ფული გვაქვს ტფილისში ვინმე გავაგზავნოთ, რომ ხომ ხედავ ჩოხები შემოგვეფლითა და შევაკერინოთ, თანაც შენ რომ მაუზერის ტყვიები შემოგელია ისიც ვაყიდვინოთ და მერე კი უსათუოდ ქაქუცას უნდა შევუერთდეთ, ახლა კი დრო არის, მეტ ხანს დარჩენა გაუმართლებელია მეთქი. ეს აზრი ქიმბარს ძალიან მოეწონა, მითხრა კარგიო, მე აქ ერთ ოსს ვიცნობ სანდო ბიჭია იმას გავაგზავნი. ჩოხის მკერავი თერძი ჩვენ ტფილისში გვეგულებოდა, რომელსაც ქაქუცას კაცად ვიცნობდით. ეს იყო ჭიჭიკო ფოილოძე, მჯს ვერის დაღმართზე ჰქონდა სამკერვალო. ასეც მოვიქეცით. არაგვს გაღმა ერთ პატარა სოფელში, რომელსაც მგონი ინო ერქვა, ქიმბარმა თავის ნაცნობ მეგობარ-მასპინძელს ის ოსი მოაყვანინა და ამ დავალებით ტფილისში გაგზავნა. ოსი წავიდა და ჩვენ ისევ ტყეში გავედით იმ პირობით, რომ რამდენსამე დღის შემდეგ დათქმულ დღეს იქვე უნდა მოსულიყო ჩვენ შესახვედრად.

თურმე ის ფოილოძე, რომელიც ჩვენ ქაქუცას კაცად მიგვაჩნდა ჩეკას დაუჭერია, გამოუტეხია და თავის აგენტად გაუხდია. ეს ჩვენ ცხადია არ ვიცოდით თუმცა როგორც შემდეგ გავიგეთ ქაქუცას კი სცოდნია. ოსი რომ ფოილოძესთან მისულა თერძს მისთვის უთქვამს, ჩოხების შეკერვა ზომების აუღებლად არ შემიძლია, ტყვიებს კი ადვილად გიშოვნი წავალ აქ დამიცადე და როცა ტყვიებს მოვიტან, მე თან გამოგვყვებ ზომის ასაღებად წასულა და ჩეკისტებთან ერთად დაბრუნებულა, ოსი დაუჭერიათ და მუქარის ქვეშ წამოუყვანიათ, რომ პაემანის ადგილზე მოეყვანა ისინი.

დათქმულ დღეს ქიმბარის მეგობართან ველოდებოდით. იმავ ღამით დალაქი გვყავდა დაბარებული, ქიმბარი უკვე გაკრიჭა და ის იყო მე ვჯდებოდი რომ კარებიც გაიღო და ფოილოძე და ჩვენი შიკრიკი ოსი შემოვიდნენ. ფოილოძე მოგვესალმა და სიცივესა და ცუდ ამინდს უჩიოდა, თან თქვა მოვშივდიო. ამ სიტყვაზე დიასახლისმა საჭმლის ქვაბი ცეცხლზე დადგა გასაცხელებლად. ოსს ხმა არ ამო-

ულია, მოსვლისთანავე ოთახის სიღრმეში კუთხეში დაჯდა და თავჩაქინდრული იატაკს დასცქეროდა, თან ხელში დაჭერილ მოკლე ჯოხს თითქოს ათამაშებდა. მე იმის მხარეს გავიხედე მანაც შემომხედა და თავის განზე გაქანებით თითქო მაცნობა წადითო. მე გულმა მიგრძნო, რომ ოსის მიერ მოცემული ნიშანი რაღაც საფრთხეს მაცნობებდა, თანაც გარედან ქარის ხმა და ძაღლების გაუჩერებელი ყეფა გაისმოდა. ქიმბარი ფილოძესთან საუბარში იყო გართული, მე ფეხზე წამოვხტი, დალაქს კრეჭა შევაწყვეტინე და ქიმბარს ვუთხარი, ქიმბარ ახლავე წავიდეთ მეთქი. ფილოძემ გაიკვირვა, რა ამბავია რაშია საქმე, მე კარებისაკენ წავედი ქიმბარი უკან მომდევდა. როცა მე კარებს ვაღებდი ქიმბარმა უკან მოიხედა და მასპინძელი დაარიგა თუ მილიცია მოვიდეს ფილოძეზე უთხარი, რომ შენი მეგობარია ტფილისიდან მოსულიო. ამის შემდეგ ჩვენ ორნი გარეთ გავედით და რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგით ტყის მიმართულებით, ვიღაცამ დაიძახა ასწიეთ ხელები მაღლაო, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არა ჰქონდა რომ ჩვენ მისი მიმართულებით სროლა ავტეხეთ. იქიდანაც მაშინვე გვიპასუხეს. ამ აურზაურში მე და ქიმბარი სროლის შეუჩერებლად ამ ადგილს გავეცალეთ, მაგრამ ბნელ ქარიან ღამეში ერთმანეთი დავკარგეთ.

მე ტყეში შეველი და არ ვიცოდი რა მექნა, არც ქიმბარს რა შეემთხვა, მოკლულიც კი მეგონა. რადგან ამ მიდამოებს არ ვიცნობდი გადავწყვიტე ისევ მდინარის მეორე მხარეს გადავსულიყავი ჭოპორტის ტყეში. ასეც მოვიქეცი. წყალზე გასვლისას ყელამდე დავსველდი, უკვე ცივი ამინდებიც იწყებოდა და თავშესაფარ ადგილს ვეძებდი. სოფელ ჭოპორტის ნაპირას ერთი საბძელი იყო, შიგ შეველი და საზამთროდ მოგროვილ ჩალაში შემძვრალმა შიგ დავიძინე. მეორე დილით ადრე იმ ტყეში შეველი, სადაც მე და ქიმბარი ვიყავით ხოლმე. ნორჩი ტყე იყო, რომელშიც ერთი ბებერი დიდი მუხა გამოირჩეოდა, ამ ხის ქვეშ გვქონდა ხშირად ბანაკი მე და ქიმბარს. მე ამ ხეს მოვერიდე და ცოტა მოშორებით ფიჩხის ძებნა დავიწყე ცეცხლის ასანთებად. თოვაც დაიწყო. ამ დროს მუხის მხრიდან შემომესმა, რომ ვიღაც ფიჩხს ამტვრევდა. ვიფიქრე ასე ადრე ტყეში ვინ მოვიდა მეთქი. ფრთხილად მივუახლოვდი. ვხედავ ქიმბარი ჩემსკენ ზურგმობრუნებით მდგომი ცეცხლში ფიჩხს უმატებდა. შევძახე ქიმბარ შენა ხარ მეთქი. იგი მყის მოტრიალდა და რევოლვერზე ხელი გაივლო, მაგრამ დამინახა, მიცნო, ერთმანეთისკენ გავქანდით და გადავეხვიეთ. ქიმბარმა მაშინვე მკითხა როგორ ფიქრობ, ვინ გაგვცაო. მე ვუპასუხე ალბად იმ ოსმაო. ქიმბარმა მიპასუხა არაო და მიამბო: მე იმ მიდამოს არ მოვშორებულვარ და მეორე დილით წყაროზე ჩამოსული ჩვენი დიასახლისი რომ ვნახე ვკითხე ამბავი. მან მითხრა, ის კაცი თქვენ რომ ტფილისიდან მოაყვანინეთ, შენ რომ კარებისაკენ მიდიოდი რევოლვერის ამოღებას აპირობდა, რომ თქვენთვის ესროლა და შენმა მოტრიალებამ ხელი შეუშალაო.

საერთოდ საკვირველია, რომ ჩეკისტები თვითონ არ შემოცვივდნენ ჩვენს დასაჭერად ან ამოსაწყვეტად. საფიქრებელია, რომ ვერ გაბედეს და მხოლოდ ჭიჭიკოს მიერ ატეხილ სროლის შემდეგ აპირობდნენ ჩარევას. ქალს ქიმბარისათვის უთქვამს, რომ მისი ქმარი ჩეკისტებს წაუყვანიათ და, რომ ჩეკისტებს შორის ორი მძიმედ დაჭრილი ყოფილა.

ერთხანს ქიმბარმა იფიქრა, რომ ფილოძის მოკვლა გვმართებს, მაგრამ ეს საქმე ძლიერ მძიმედ სჩანდა. ღამით მისი მაღაზია დაკეტილი იქნებოდა, ხოლო მისი ბინა კი ჩვენ არ ვიცოდით, თანაც ამის ასრულებას დიდი დრო სჭირდებოდა, ჩვენ კი უიმისოდაც დიდი დრო დავყავით რაზმის გარეშე და გადავწყვიტეთ ჩვენებს შევერთებოდით.

ვიდრე გზას გავუდგებოდით ქიმბარმა თქვა ამ ღამით კიდევ ერთი კაცურად პური ვჭამოთო და ერთ თავის ნაცნობის სახლში შევედით, კარგი პური ვჭამეთ, შევზარხოშდით და რადგან ის კაცი ძალიან სანდო იყო, კარგა გამოვიძინეთ და გათენების ხანს მასპინძელს გამოვემშვიდობეთ, რომელმაც უხვი საგზალიც თან გამოგვატანა.

მეორე სოფელს რომ მივუახლოვდით, ტყეში ერთი მეძროხე შეგვხდა. ქიმბარს მისი მთელი ოჯახი კარგად სცნობია. ქიმბარმა ბიჭს უთხრა მამა შენს უთხარი , რომ საღამოს მოვალთ ხინკალი გაგვიკეთოსო. საღამოს კაცთან რომ მივედით, ხინკალი კი დაგვახვედრა, მაგრამ საყვედური გვითხრა, ხინკალი კი მოვიმზადეთ მაგრამ რატომ თქვენ დაჭრილ კაცს არ მოუვლით. ჩვენ გაგვიკვირდა, ვინ დაჭრილიო ვკითხეთ. აი აქა წევს ჩემთანაო და მეორე ოთახში გაგვიყვანა. ვნახეთ ლოგინში გიორგი გვერდწითელი იწვა, იგი ჩვენი რაზმელი იყო. მან გვიამბო, რომ მე და ქიმბარი რაზმს რომ მოვშორდით და მათ გზა განაგრძეს, ერთ ხევში ყოფნისას ცხენებს რომ ასმევდნენ, გაღმა ტყიდან თოფი გავარდა და გვერდწითელი დაიჭრა. ჩვენებსაც უპასუხნიათ მაგრამ არავინ ჩანდაო, როცა ტყეში შესულან იქ ორი შეშინებული მწყემსი უპოვნიათ, იმათ უამბნიათ: ქისტები იყვნენ ჩვენი საქონლის მოტაცება სურდათ და თქვენ რომ დაგინახეს მილიციელები ეგონეთ, იმიტომ გესროლეს და გაიქცნენო. ასე რომ გვერდწითელის დაჭრა შემთხვევითი და უნებური ყოფილა, რადგან ქისტები ქაქუცას ხალხს არ ესროდნენ – პირიქით მუდამ ჩვენს მხარეზე იყვნენ.

გვერდწითელი ჩვენებს აქ დაუბინავებიათ სადაც ჩვენ ვიპოვეთ. ახლა მისი მოვლა იყო საჭირო, მისი იქ დარჩენა არ შეიძლებოდა – ერთი იმიტომ, რომ ბოლოსდაბოლოს გაიგებდნენ და მეორე ის, რომ გვერდწითელს უსათუოდ საექიმო მოვლა სჭირდებოდა. ამიტომ მასპინძლის დახმარებით საკაცე დავამზადეთ, ზედ დაჭრილი დავაწვინეთ და მე და ქიმბარმა რის ვაივაგლახით ჭოპორტის ტყემდი მივიტანეთ. იქ უკვე ნახსენები ფერშალი მოვნახეთ და მას ვთხოვეთ დაგვხმარებოდა. ფერშალს ვერაფრად ეამა ჩვენი მისვლა მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. საჭირო წამლები წამოიღო და წამოგვყვა. როცა ავადმყოფი გასინჯა, უწამლო ჩვენც დაგვარიგა, წამლები დაგვიტოვა და

კიდევა ერთხელა გვთხოვა ჩემი აქ მოსვლა არავის უთხრათო. გვერდწითელი მძიმედ დაჭრილი იყო – მას სასქესო ორგანო ჰქონდა ტყვიისაგან დაგლეჯილი. ტყეში ერთი კვირის წამლობის შემდეგ სიარული შეეძლო მაგრამ ეტყობა ამ დასახიჩრებამ იგი ისე გასტეხა მორალურად, რომ ჩვენთან დარჩენა არ ინდომა. მე აქ ვერასოდეს მოვრჩებიო და ტფილისში წავიდა. იგი ტფილისში მის დიდ მეგობართან, რომან ყანჩაველთან მისულა. ეს ყანჩაველი წინეთ ჩვენთან იყო, ტყეში ყოფნა ვერ აიტანა, გაიპარა და ცოდვის გამოსასყიდლად რამდენიმე ჩვენი კაცი დააჭერინა. გვერდწითელმა ეს იცოდა მაგრამ ფიქრობდა, იგი ჩემი მეგობარია მე არ გამცემსო. მაგრამ ერთხელ ღალატის გზაზე დამდგარმა ყანჩაველმა მეგობარიც არ დაინდო, გაუცია, დაიჭირეს და დახვრიტეს.

კახეთში კი ადვილად მივედით, მაგრამ ქაქუცას ადგილსამყოფელი ჩვენ არ ვიცოდით. მე ერთი კაცი მეგულებოდა , რომელიც ჩვენი კავშირი იყო და მან გვითხრა , რომ ბედზედ, ჩვენები იქვე მახლობელ ტყეში ყოფილიყვნენ. ქაქუცას რომ წარვუდექით ძალიან დაგვტუქსა, აქამდე როგორ დაიგვიანეთო. ჩვენ როგორც შევგეძლო თავი ვიმართლეთ. ჩვენი ნადავლი ფული გადავეცით რაც შემოგრჩა, თან ჩვენი უკანასკნელი ფათერაკიანი ამბავი ვუამბეთ და სწორედ მაშინ გვითხრა ქაქუცამ: ახია თქვეზე. ადრე, რომ მოსულიყავით ეგ არ მოგივიდოდათ და ისიც გეცოდინებოდათ, რომ იმ თერძის ნდობა აღარ შეიძლებოდა, ჩვენ ეს კარგა ხანია შევგატყობინესო.

მგონი იმ ხანებში შემოგვიერთდენ ტფილისიდან ჩამოსული ვანო კარანკოზიშვილი და მის მიერ მოყვანილი ლუა კვალიაშვილი, ვასო კანდელაკი, შამშიაშვილი და ჯავახიძე. ამათში სამი უკანასკნელი, თურმე მთავრობის მიერ ყოფილან შემოპარებული და ქაქუცას მოკვლა ჰქონიათ დავალებული. მაგრამ ადგილზე მათ დაინახეს, რომ ამის ასრულება შეუძლებელი იყო , თუ თვითონ ვეც არ დაიყუპებოდენ. ამიტომ ისინი შემთხვევას უცდიდნენ, რომ როგორმე თავი დაეღწიათ ჩვენთან ყოფნისაგან სადაც არც ისე საამო იყო ცხოვრება.

ერთ დღეს მათ გაპარვის საშუალებაც მიეცათ, რაც საზიზღარი ლაჩრობით შეასულეს: სოფელ მატანიდან სურსათი უნდა ამოგვეტანა. ჩვენთან ერთი მატნელი ბიჭი გვყავდა, ახალმოსული, ასე თვრამეტი წლისა იქნებოდა. იგი გაგზავნეს სურსათის მომწოდებელ კაცთან და მზიდავად და მცველად ეს სამი შემოგზავნილი გააყოლეს თან. წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნდნენ. შემდეგ გავიგეთ, რომ საწყალი მატნელი ბიჭი ლაჩრულად მოუკლავთ და გაქცეულან. კიდევ კარგი, რომ სურსათის მომწოდებელი კაცი ვერა ნახეს და მისი გაცემა არ შეეძლოთ.

ეს სამი ასე სანდოთ რომ იყო მიჩნეული, ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ ისინი ქაქუცას პირადმა მეგობარმა კარანკოზიშვილმა მოიყვანა, მეორე ის, რომ მათ უკვე მონაწილეობა მიიღეს ტარასი ჩხეტიანის მოკვლაში. ეს უკანასკნელი, მალაქია მაისურაძის მოყვანილი იყო, ღალატით გაიპარა და მრავალი ზიანი მოგვაყენა – მით, რომ ბევრი ჩვენი კაცი დაიჭირეს და დახვრიტეს მისი მითითებით. ამ ჩხეტიანზე ცნობა მოგვივიდა, რომ ერთერთი ჩვენი კაცის , მთიელის დასაჭერად მიდიოდა თავისი მილიციელებით. მაშინ იგი უკვე სპეციალურ რაზმს მეთაურობდა. ქაქუცამ საქმის ასასრულებლად შვიდიოდე კაცი გაგვაგზავნა. მათ შორის მეც ვიყავი, ის სამნი, გაბო ოძიაშვილი, რაფო ერისთავი, და სერგო მაისურაძე. რაზმს ერისთავი მეთაურობდა, სხვები არ მახსოვს. ჩვენ ჩხეტიანის რაზმს ჩავუსაფრდით და როცა გამოჩნდენ, რომელთაც დაჭერილი მთიელი თან მოჰყავდათ, ჩხეტიანი ტყვიებით დაიცხრილა, დანარჩენები გაიქცნენ. სხვათა დახოცვა ჩვენთვის არ დაუვალებიათ. ეს მოქმედება მხოლოდ ჩხეტიანის დასჯა და მთიელის დახსნა იყო. საერთოდ ყოველი ჩვენგანის პირველი ტყვია ჩხეტიანს მოხვდა.

მატნის მიდამოებიდან პანკისის ხეობაში გადავედით. იქ ჩასახლებული ქისტები ცხოვრობენ და რამდენიმე მათგანი შემოგვიერთდა. იქ დგომის დროს ბელადმა მუკუზანში გაგვგზავნა რომ ვაზნები და ტანსაცმელი მიგვეღო, რომელიც ტფილისიდან უნდა მოსულიყო. საქონელი ჩვენთვის უნდა გადმოეცა მუკუზანის მამულის გამგეს ჯანდიერს. გაგზავნილები ვიყავით, ნაცვლიშვილი, მე და ოთხი მატნელი ბიჭი. ჯანდიერთან დღისით ვერ მივიდოდით და ამიტომ მუკუზნის მახლობელ ტყეში უნდა დაგვეცადა დაღამებისათვის. ვიდრე ტყეში გავიდოდით ერთ ხევზე გავიარეთ. იქ წისქვილი იყო და ორი ბიჭი გავგზავნეთ პურის გამოსართმევად. მათ პური მოიტანეს და ტყეში შევედით. წვიმდა, სველები ვიყავით, ცეცხლი ავანთეთ და ვიშრალებდით. შუადღე გადასული იყო. მე ჯგუფს ცოტათი მოვშორდი, ბუნებრივ მოთხოვნილების გამო. ამ დროს გაისმა ვინა ხართ ხელები ასწიეთო და სროლაც დაიწყეს. ჩვენებმა სროლითვე უპასუხეს და მეც სადაც ვიყავი იქიდან ვესროდი. სროლა მოკლე ხანს გაგრძელდა – ვიდრე ჩვენი თავსდამსხმელები გაიქცეოდნენ. მაშინ მე იმ ადგილას მივედი, სადაც ცეცხლი გვენთო, მაგრამ ჩემი მეგობრები უკვე იქ აღარ იყვნენ. მეც ტყის სიღრმეში შევედი მაგრამ მათი კვალი ვერ ვიპოვნე. სხვა რა გზა მქონდა, იმ არემარეს მოვშორდი და ასე ტყე-ტყე, სიარულით შარაზე გავედი. ახლოს სოფელი შიშიანი იყო, სადაც დეიდაჩემის ქმარი მღვდელი თომა ასათიანი ცხოვრობდა. შეღამებისას მასთან მივედი, რომ ცოტა დამესვენა მეჭამა და დამეძინა. დეიდაჩემი შეშინდა აქ რამ მოგიყვანაო, მაგრამ ხომ არ გამაგდებდა. იმ ღამით იქ დავიძინე და მეორე დღეს საღამოთი წამოველ სოფელ კონდოლისაკენ, სადაც ავალო ავალიშვილი ცხოვრობდა. იქიდან შემეძლო გზის გაკვლევა. რადგან მე მისი სახლი არ ვიცოდი, ჩემი სკოლის ამხანაგის სახლში მივედი, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა. გავაღვიძე და ვთხოვე ავალიშვილის სახლი მიმასწავლეო. იგი გამომყვა მაჩვენა და უკან დაბრუნდა. ავალიშვილთან რომ შეველ მიცვნეს, თითქო მომელოდნენო, ოთხი მეგობარიც იქავე დამხვდა. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იქიდან ქაქუცასთან დავბრუნდით და შეწუხებულებმა ვუამბეთ ჩვენი მარცხის ამბავი. ქაქუცამ

გვითხრა: არა უშავს, მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩით, თქვენ იქედან მაინც ვერრას წამოიღებდით, ეს საქმე ტფილისში ჩავარდნილაო.

როცა ჩვენ რაზმს, უმეტესად ზამთარში, ხანგრძლივად ერთ ადგილზე ყოფნა მოუხდებოდა, ჩვენი ბანაკი შედარებით კარგად იყო მოწყობილი. გვქონდა მიწაში ჩათხრილი ქოხები და ამათში ერთი სპეციალურად ქაქუცასათვის და მისი თანაშემწეთათვისაც. პირველ ხანებში ქაქუცას თანაშემწე სოსო ლოსაბერიძე იყო. ზამთარში ასეთ ბანაკებში ჩვენ ბევრად უფრო მომარჯვებული ვიყავით სანოვაგით, ვიდრე ხშირად ადგილის გადანაცვლების დროს. ჩვენი სანოვაგის მთავარი შემადგენლობა ფქვილი იყო. მის შესანახავად მალაქია მაისურაძემ, დიდი ხის მორისაგან შუა გულის ამოჭრით კარგა მოზრდილი კასრის მსგავსი ჭურჭელიც კი გააკეთა, რომელშიაც რამდენიმე კოდი ფქვილი ჩადიოდა. ხოლო როცა საკლავს ვიშოვიდით, ძროხაც რომ ყოფილიყო ყინვიან ზამთარში ხეზე დაკიდებული დიდ ხანს ინახებოდა. ჩვენი კერძი ან ხაშლამა, ე.ი. მოხარშული ხორცი ან ხინკალი იყო. უფრო ხშირად ხინკალი გვქონდა, რადგან უფრო გემრიელი იყო. დანიშნული მზარეული ჩვენ არა გვყავდა, მაგრამ ყველაზედ მარჯვე მზარეულობაში და სხვა საქმეშიაც მალაქია იყო. იგი იყო ჩვენი დურგალი, არქიტექტორი, მკურნალი, მზარეული და სხვა.

მახსოვს ერთი სასაცილო შემთხვევა. ქაქუცა დიდი მჭამელი არ იყო და თავის წილ ხინკალს ზოგჯერ ხის ჯამში ინახავდა ხოლმე, რომ უფრო გვიან ეჭამა. ერთ საღამოს ქაქუცამ სერგოს უთხრა ემანდ ჩემი ხინკალია ჯამში მომიტანეო. სერგომ ცარიელი ჯამი იპოვა და ქაქუცას უთხრა ხინკლები შიგ აღარ არიო. ქაქუცა გაბრაზდა და დაიყვირა ვინ შეჭამა ჩემი ხინკლებიო. ჩვენ არაფერი ვიცოდით და გაკვირვებულნი შევცქეროდით. შემდეგ გავიგეთ, რომ მიხა ხელაშვილს დაუნახია თუ როგორ შეჭამა ეს ხინკლები სოსო ლოსაბერიძემ. ამაზე მიხამ ლექსი გამოსთქვა:

ღამის გუშაგი მიწოდეს ვიქმენ ველთ გაგზავნილადა
ნახევრად მთვარეს ვუცქერდი არ იყო სრუ შევსილადა
ერთი ლექსის თქმა მომწადდა სოსოს ვარგუნე წილადა
ბელადსა ხინკლებსა ჰპარავს ჩვენ კი გვიხდება ქირადა.

ამ ლექსის ავტორი მიხა ხელაშვილი ძალიან საინტერესო კაცი იყო. ვიდრე ჩვენთან მოვიდოდა იგი ვაჟას სოფლის ჩარგალის დიაკვანი ყოფილა. იგი ქაქუცას წამოჰყვა როცა ხევსურეთიდან გამოსულმა რაზმმა ფშავზე გაიარა. მიხა პოეტი იყო როგორც ძრავალი ფშაველი და მას ყოველ ჩვენთაგანზე ლექსი ჰქონდა გამოთქმული, მაგრამ ეს დიაკვანი პოეტი არა ნაკლები ვაჟკაცი და მეომარი იყო. მაშინდელი ლექსები, რომელთაც ჩვენ აქ ზოგჯერ ვბეჭდავთ, მხოლოდ მეხსიერებაში შემორჩენილი ნაწილია. მას თან დაჰქონდა ხოლმე მთელი ჩანთა თავისი ლექსებისა. მიხას თაუხედავად დიაკვნობისა ქალებიც უყვარდა, ხშირად იგი ქაქუცასაგან შვებულებას იღებდა, რომ ფშავში ასულიყო. ერთ ასეთ რომანტიულ შვებულებიდან დაბრუნებისას გზაზე ჩეკისტებს წააწყდა და უთანასწორო ბრძოლაში მოკვდა. მისი ლექსების ჩანთაც მაშინ დაიკარგა. აი რამდენიმე მისი ლექსი, რომელიც მე ზეპირად მახსოვს:

ჯერ ისევ არის ზაფხული არ დათოვლილან მთანია
ფშავ-ხევსურეთის კლდეებსა შავნივა ჰქონდა ფხანია
შიგ ვცხოვრობთ ფშავნი ხევსურნი სალი კლდის შვილნი ძმანია
უნდა მივილთ ამბავი დროების მონატანია
ქაქუცა ჩოლოყაშვილი მოქროლავს როგორც ქარია
თან ახლავს ქართლის შვილები თითო ლომისა დარია
ბინას დასდებენ ფშავშია სადაც მაღაროს კარია
ქალაქით მოჰყვა ლაშქარი რომელიც მუხლით მალია
პურის ჭამაზე ნასხდომებს დაგვხვიეს თოფის ალია
ჰაი გიდი ჩოლოყაშვილო გულად გდებია ტალია
პატარა რაზმის უფროსო ხარ ძარღი კამანდარია
მკვდარი შეჰყარე მკვდარზედ რო თივის საბანდარია
ფშავლებს გადაეც ნადავლი იშათგან ანაყარია
სიკვდილზე ნუ დაფიქრდები ყველა იქ მიმავალია
იქ დაგვხდებიან ქართველნი ვინც სამშობლოსთვის მკვდარია

---

სახელს ვახსენებ ფშაველი ლაღის ლაშარის ჯვრისასა
თუ კიდევ დამეხმარება შვილსა გაზრდილსა მთისასა
გავუდექ სალეკეთოდა ბილიკებს დაღესტნისასა
ქაქუცა ფლავსა მპირდება ელდრის და სამუხისასა
კიდევ გადმოვალ ფშავშია გადმოვალ კუდებისასა
თუ გადავურჩი ცოცხალი ტყვიასა რუსებისასა

საუბედუროდ ამ ბინის დატოვება მოგვიხდა რადგან ჩვენი იქ ყოფნა აღმოაჩინეს და თავს დაგვესხნენ. ისინი ჩვენ ადვილად მოვიგერიეთ და გავაქციეთ მაგრამ ცხადია ამ ბინაზე ვეღარ დავრჩებოდით. ბინა კი დავტოვეთ მაგრამ ჩვენი სანოვაგის მარაგიდან არაფერი დაგვიტოვებია. ხუთიოდე კილომეტრი გადავინაცვლეთ და ახალი ბინა მოვაწყვეთ, მაგრამ წინანდელივით მოხერხებული აღარ იყო. როცა ხელისუფლებას ჩვენზე თავდასხმა მეორედ განუზრახავს, ჩვენი ნაბინავარისათვის ალყა შემოურტყია, მაგრამ თურმე შიგ შესვლას ვერავინ ბედავდა. ბოლოს ადგილობრივი უიარაღო გლეხი შეუგზავნიათ, რომ შორიდან ეთვალყურებიათ თუ რა მოხდებოდა. გლეხი ბინაზე მისულა, ცხადია არავინ უნახავს და იარაღიან ხალხისათვის დაუყვირნია მოდით ნუ გეშინიათ, აქ არავინ არიო. ეს ამბავი გვიამბო ჩვენმა კაცმა, რომელიც იმ ბინის მახლობელ სოფლიდან იყო.

პანკისის ხეობიდან რაზმი თანდათან ბინების ცვლით დუშეთის მიმართულებით გადადიოდა. ქაქუცას მგონი განზრახვა ჰქონდა ხევსურეთში ასულიყო და აჯანყებისათვის ხალხი მოემზადებინა. ვიდრე ყინვანს გავივლიდით გზაში ზოგჯერ ხელისუფლების წარმომადგენლებს წავაწყდებოდით ხოლმე. ასე ჩაგვივარდა ხელში ერთი ხანშიშესული წვეროსანი კომისარი — არაკომუნისტი. ჩვენ მას მტრულად არ შევხვედრივართ და თითქმის მეგობრულადვე გავათავისუფლეთ თავისი ორი მილიციელით, რომელთა შორის ერთი რუსი იყო. ამგვარად მაღაროს კარს მივედით. ეს უკვე ფშავია. იქ ყოფილ სკოლის შენობის ეზოში დავიდეთ ბინა. ეზოს კარგი ქვის ყორე ჰქონდა შემოვლებული. აქ ქაქუცა ხვდებოდა ფშაველების თავკაცებს, საქმეზე მოსალაპარაკებლად და ფშაველებივე გვაწვდიდნენ საზრდოს. ჩვენი იქ ყოფნა ცხადია მთავრობამ გაიგო და ალბად უფიქრნიათ ამ ვიწრო ხეობაში ქაქუცას ხალხს ადვილად მოვამწყვდევთო. შუადღის ჭამას მოვრჩით და მინდორზე წამოწოლილნი ვიყავით, როცა დარაჯმა განგაში ასტეხა მტერი მოდისო. მომსვლელთა ვინაობა თუმცა დანამდვილებით ჯერ არ ვიცოდით, მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო თუ არა მდევარი. ქაქუცამ დაუყოვნებლივ საბრძოლოდ გაგვანაწილა — ყველას თავისი ადგილი მიუჩინა. ის ყორე შემოვლებული ადგილი, სადაც ჩვენ ვიყავით გზას გადაჰყურებდა, საიდანაც მტერი უნდა მოსულიყო. მე იმათში ვიყავი, ვინც ამ ყორეს მოფარებული მტრის გამოჩენას ვუცდიდით. მე დაახლოვებით გაშლილ მცირე ფრონტის შუაში აღმოვჩნდი. როგორც მახსოვს ჩემთან ახლოს იყვნენ რაფო ერისთავი და ორი ქიზიყელი ბიჭი, რომელთა გვარები აღარ მახსოვს. ქაქუცამ გვიბრძანა ვიდრე ნიშანი არ მოგცეთ სროლა არ დაიწყოთო. მტერი არაგვის პირს ვიწრო გზას ერთ მწკრივად მოუყვებოდა, არა ჯგუფად არამედ ერთიმეორისაგან განსაზღვრულ მანძილით დაშორებული. როდესაც ამ მწკრივის თავი ჩვენი ფრონტის მარცხენა ფრთას გაუსწორდა, მაშინ ქაქუცამ სროლა დაგვაწყებინა. ვინც ხეობაში შემოსული იყო, ე.ი. ვისაც ჩვენ დავყურებდით, არც ერთი არ გადარჩენილა — ან დაიხოცნენ, ან დაჭრილნი იყვნენ. ექვსმა კაცმა კი ხელები ასწია და ტყვედ ჩაგვივარდნენ. ამ დროს ბელადმა ელიზბარს უბრძანა ოთხი კაცი წაეყვანა, რომ ჩვენთვის ზურგში მოსავლელი გზა შეეკრა. ელიზბარი წავიდა თავისი ხალხით და მართლაც ზურგში შემომვლელ რაზმს წააწყდომია. ამათ ტფილისელი სომეხი კომისარი მოუძღვებოდა. ელიზბარს ისინი გაუფანტავს — კომისარი და რამდენიმე მისი მხლები მოუკლავს, დანარჩენები კი გაქცეულან. დატყვევებული ექვსი კაცი დაიხვრიტა. ყველანი ჩეკისტები იყვნენ — მათ შორის ერთი სომეხი. მტრის მიერ დატოვებული იარაღი მოვკრიფეთ, რომელშიაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი თოფის ვაზნები იყო — იმ დღის დანახარჯი ადვილად შევავსეთ. თოფები ყველას გვქონდა, ამიტომ ფშაველებს მივეცით. ამის შემდეგ ხევსურეთისაკენ წავედით, მაგრამ ვიდრე ჩვენ დავიძრებოდით ბელადმა ადრევე ელიზბარი გაგზავნა რამდენიმე კაცით, რომ ორწყალი დაეჭირა. ეს ადგილი ორი არაგვის შესართავთან მდებარეობს და ხევსურეთში შესასვლელი კარია. ვინც ამ ადგილს დაიკავებს, მისი ნების უმისოთ ამმხრიდან ხევსურეთში ვერავინ შევა.

ჩვენი რაზმი რომ ხევსურეთში შევიდა დიდ ხევსურულ სოფელ ბარისახოში დავბანაკდით აქედან ბელადმა ჩაჩანში გაგზავნა-სულხანიშვილი და თუში შამილა, რომელმაც ჩაჩნური იცოდა. სულხანიშვილს დავალებული ჰქონდა ჩაჩნების დახმარება მიეღო. ცნობილია, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის მუდმივი მტრობა იყო და მრავალ ხევსურსა თუ ქისტს ერთმანეთის სისხლი მართებდა. ეს მდგომარეობა ხელისშემშლელი იყო ხევსურებისა და ქისტების ერთად ჩვენს მხარეზე გამოსვლისათვის. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთმა ხევსურმა თავკაცმა, რომლის გვარსაც ყველაზე მეტი სისხლი მართებდა ქისტებისა, მათ სულხანიშვილის პირით შეუთვალა: ქისტებო დღეს ჩვენი საერთო მტერი რუსია, მოგვეშველენით ერთად გავრეკოთ და მერე თუ კი ინდომებთ, ჩემი ორი შვილისშვილი , ვაჟები, წაიყვანე და თავები მოსჭერიო. როგორი იყო სულხანიშვილის მოქმედება ჩეჩნეთში ამას მე ვერ მოგითხრობთ, რადგან ამ საქმეში არ ვრეულვარ მხოლოდ საერთო მდგომარეობა იმ გზით განვითარდა, რომ ქისტების თახმარება უკვე დაგვიანებული იქნებოდა, როგორც ცნობილია რუსები ხევსურეთში შეიჭრნენ და საშინლად ააწიოკეს.

ბარისახოში დაიწყო ბელადმა ხევსურების თავკაცთა მიღება და მათთან მოლაპარაკება. ხევსურები ჩვენ დიდი სიხარულით შეგვხვდნენ — მათთან პროპაგანდა საჭიროც არ იყო. ამ ხალხს რუსთა სიძულვილი ჩვენზე მეტი ჰქონდა. ორწყალი ხევსურებთან ერთად რიგრიგობით, მუდმივი გამაგრების მდგომარეობაში გვქონდა.

ერთ დღეს ცნობა მოვიდა, რომ ხევსურეთისაკენ რუსული ჯარების ნაწილები წამოსულა. ქაქუცამ შესაფერი ზომები მიიღო და ორწყალის მაღლობებიც დაგვაკავებინა. რუსები მართლაც მოადგნენ ორწყალს მაგრამ პირველსავე ცდაზე დიდი ზარალი ნახეს.

ეს ბრძოლა რომ გაჩაღდა ხევსურთა ერთმა მეთაურმა ქაქუცასა ჰკითხა თურმე: რას იქს ბარი ქაქუცას მაშინ იმ ხევსურისათვის სათქმელი დანამდვილებითი პასუხი არა ჰქონდა და ხევსურს უპასუხა – დღე-დღეზე შიკრიკს მოველიო.

მოხდა კი შემდეგი: როგორც ცნობილია ქაქუცას გეგმა ის იყო, რომ როცა იგი ხევსურეთში შევიდოდა და იქიდან რუსების წინააღმდეგ მობრუნდებოდა, ქართლში შეკრებილ ძალებს, რომელთა ერთ-ერთი მეთაური ლაშქარაშვილი იყო, რუსებისათვის ზურგში უნდა დაერტყა. ამგვარად რუსის ჯარი ორცეცხლს შუა აღმოჩნდებოდა და უეჭველად დამარცხდებოდა. მაგრამ როდესაც ლაშქარაშვილს თავისი ძალები თითქმის შეკრებილი ჰყავდა, ტფილისიდან მოვლინებულმა ორმა მენშევიკთა პროპაგანდისტმა საწინააღმდეგო პროპაგანდა გააჩაღა: ქაქუცას დახმარება თქვენ არ გმართებთ, ის თავადია და თავადობის მომხრეო. ამბობენ, რომ ეს პროპაგანდისტები თვითნებურად არ მოსულან, არამედ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ გამოგზავნა, რადგან მათ არ სურდათ , რომ აჯანყების ინიციატივა ჩოლოყაშვილის ხელში ყოფილიყო.

ორწყალზე მომდგარმა რუსებმა პირდაპირ შეტევაზე ხელი აიღეს. ხევსურეთში შემოვლითაც შეიძლება ასვლა უფრო შორი გზით. ამისათვის მათ უპირველესად სოფელი აკუშო დაუკავებიათ, რომელიც არაგვის ხეობაში კი არ არის, არამედ მთის გადაღმა სხვა ხეობაშია. მახსოვს, მთაზე აკუშოელი ხევსური გადმოდგა და გაიძახოდა: „აკუშოს მოვიდა რუსთა ჯარიო, მოგვეშველენითაო." რუსებს თან არტილერიაც ჰქონიათ და მთის გადაღმიდან ორწყალის მიდამოებსაც დაუშინეს.

ეს ამბები რომ დაიწყო, ჩვენ ადგილობრივი მოსახლეობის სურსათი თითქმის მთლად მოვიხმარეთ და საჭირო იყო სხვა მხრიდან მიგველო. ამიტომ ქაქუცამ მიბრძანა, ერთ ხევსურთან ერთად ცხენებით მთებში მდებარე ხევსურულ სოფელში ავსულიყავ და იქიდან სანოვაგე მოგვეტანა – უმთავრესად პური და ყველი. წავედით მე და ხევსური სახელად ხვთისო, იგი ჩემზედ უფროსი იყო ოცდახუთი წლისა იქნებოდა. სოფელში რომ ავედით მამაკაცთაგან დაცლილი დაგვხდა, მარტო ქალებიღა იყვნენ. როცა ჩემმა ხევსურმა ჰკითხა კაცები სად არიანო, მათ უპასუხეს: „ხატსა, ხატსაო." რაც იმას ნიშნავდა, რომ მამაკაცები ხატობას იყვნენ წასულნი და ხვთისომ ამიხსნა ამ დროს დედაკაცები ჩვენ არაფერს მოგვცემენ,, იქ ხატში უნდა ავიდეთო. ამგვარად ჩვენც ხატობაზე აველით. ცოტათი წვიმდა და როცა ადგილს მივუახლოვდით, იქ მთელი სოფლის მამაკაცები ნაბადწამოსხმულები რამდენსამე ცეცხლის პირას ისხდნენ და ლრეობდნენ. ქვაბებში ლუდი და არაყი ედგათ, წინ მოხარშული ხორცი ედოთ, ზოგს მწვადი მიჰქონდა დამსხდარ უფროს ხევსურებთან, ხევისბერიც მათთან იყო. ჩვენ რომ მივუახლოვდით ხევისბერმა ხვთისოს ჰკითხა ვინ არის ეს კაციო, რადგან ტანსაცმელით მიცნო რომ ხევსური არ ვიყავი. ხვთისომ უპასუხა ქაქუცას კაციაო. ეს რომ გაიგონეს ყველას გაუხარდა, ხევისბერმა კი გულში ჩამიკრა. ამ მოხუცის საქციელმა მე მაშინ ისე ამაღელვა, რომ მისი სიტყვები არც კი მახსოვს. ხევისბერიც აღელვებული ჩანდა – მოხუც თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, მის გვერდით დამსვა და ყველანი სასმელსა და საჭმელს მაწვდიდენ. მეც მადიანად შევექეცი რადგან გვარიანად მშიოდა. ხატობა საღამომდე გაგრძელდა. როცა წამოვიშალეთ ხევისბერის წინამძღოლობით მთელმა ხალხმა ხელში ჟღარუნებიანი დროშებით ჯერ ხატის ადგილს შემოუარეთ და შემდეგ სოფლისაკენ დავეშვით. სოფლიდან შორს არ ვიყავით. ხევისბერი მე გვერდიდან არ მიცილებდა, გზაში მესმოდა მისი ლოცვა-ბუტბუტი, რომლის სიტყვები ჩემთვის გაუგებარი იყო. არც გარკვევით მესმოდა. სოფელში შესვლის შემდეგ როცა ხევისბერს ავუხსენი თუ რისთვის ვიყავით მოსული უკვე ღამდებოდა. მან მითხრა ყველაფერს მოგცემთ მაგრამ რაც გვქონდა ყველაფერი შევჭამეთ, თქვენთვის უნდა პური გამოვაცხობინო და საკლავი დავამზადო. ამეღამ ჩემთან დარჩებით, ხვალ როცა სანოვაგეს დავამზადებთ მაშინ წადითო. სხვა რა გზა იყო, იმ ღამით ხევისბერთან ვივახშმეთ და იქვე დავიძინეთ. მეორე შუადღისათვის ყველაფერი მზად იყო . წასვლის წინ ადგილზე დავნაყრდით და ცხენებს ორი გატენილი ხურჯინა ავკიდეთ. რაც ხურჯინებში ვერ ჩავატიეთ, ტომარაში ჩავდეთ და ხურჯინს ზედ დავაკარით.

ბარისახოსაკენ მიმავალთ გზად ერთი ხევსური შემოგვხდა, გვითხრა სად მიდიხართ ბარისახოში რუსებიაო. თურმე რუსებს არტილერიის საშუალებით ბარისახო აუღიათ და ჩვენები ფშავში გადმოსულან. ამის გაგონებაზე ხვთისომ სთქვა რაკი ბარისახოში მისვლა არ შეიძლება, აქ სხვა პატარა სოფელია იქ მივიდეთო. როცა იმ სოფელში მივედით ხალხი გახიზნულიყო . მე საგონებელში ჩავარდი: ქაქუცას სამყოფელი არ ვიცოდი, არც ხევსურეთში დამედგომოდა, ამიტომ ფშავში გადასვლა ვარჩიე, იქ რუსები არ იყვნენ. ის ღამე ტყეში სხვებთან ერთად გავატარეთ, მეორე დღეს კი ხვთისო ჩემი აზრისა აღმოჩნდა – მითხრა შენ აქ დარჩენა არ გარგებსო. ხვთისოს გადავეხვიე, გამოვემშვიდობე და ტყე-ტყე ფშავისაკენ წავედი – რადგან ჩვეულებრივი ხევის გზა რუსებით იყო ავსილი. ფშავში პირველი სოფლის პირველსავე სახლში მივედი. პატრონი აივანზე დამხვდა, შორიდანვე დაუნახივარ, მკითხა ვინა ხარ, რა გინდაო. ვუპასუხე ხევსურეთიდან მოვდივარ, იქ მეცხვარედ ვიყავ, ახლა რუსები მოვიდნენ ჩემს პატრონს აღარ ვჭირდები, ვეძებ ვინმემ ამიყვანოს, იქნებ შენ გამოგადგე მეთქი. ვისაც ვესაუბრებოდი სიმპატიური კაცი ჩანდა და მთელი საუბრის განმავლობაში თითქოს რაღაცას იგონებდა, ისე მაცქერდებოდა. სათქმელი რომ ვუთხარი მკლავში ხელი მომკიდა და განზე ბაღში გამიყვანა, რადგან სახლში ორი სხვა ფშაველი იყო. იქა მკითხა, შვილო შენ ქაქუცასთან არ იყავი? მგონი იქა გნახე მაღაროსკარში ყოფნისას, ხის ძირას იჯექიო. და თან დასძინა მე მოჯამაგირე არა მჭირდება, მაგრამ შენ თუ ქაქუცას კაცი ხარ, დარჩი, შეგინახავ რამდენი ხანიც გინდაო. ძნელ მდგომარეობაში ჩავარდი. არ ვიცოდი

ვნდობოდი ამ კაცს თუ არა, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე, სხვა გზა მაინც არა მაქვს მეთქი და გამოვუტყდი ჰო მე ვარო. თურმე ეს კაცი იმ ფშაველებში ერია ქაქუცასთან რომ მოილაპარაკეს, მაგრამ მე მისი სახე არ მახსოვდა. ასე გადაწყდა ჩემი მასთან დარჩენა. მითხრა ხვალ ჩემი მეცხვარე ჩამოვა და მას გაჰყევიო მასთან იყავიო. ასე შევუდექი დროებით მეცხვარეს ცხოვრებას და ჩემი მასპინძლის მეცხვარე ცხვრის მოვლაში მწვრთნიდა. ორი კვირის შემდეგ არ ვიცი რა მიზეზით ამ მეცხვარემ თავი დაანება და შინ წავიდა. მე მარტო დავრჩი და ერთი ძაღლის ამარა ვუვლიდი ცხვარს, ღლად მთაში მყოფი. ერთ დღეს შემთხვევა მომეცა მეცხვარის გამოცდა ჩამებარებინა. ჩვენი სახლის მახლობელ გორაზე ფარას მივდევდი, ადგილი ბორცვებიანი იყო. ერთ ბექობზე გადავდიოდით, წინ მიმავალი ცხვარი უკვე მეორე მხარეზე იყო და ძოვით წინ მიიწევდა. როც მეც ბექობის მაღლა თავი ამოვყავი, დავინახე, რომ კარგა დიდი მგელი ნახტომებით, უახლოვეს ცხვრისაკენ მოდიოდა. არ დამიყოვნებია მყის თოფი მოვიმარჯვე, მგელმაც დამინახა და შემოტრიალება მოინდომა რომ გაქცეულიყო, ჩემი თოფიც გავარდა. მგელი ერთი კი შეხტა და მიწაზე დავარდა ტყვია ფერდში მოხვედროდა. პატრონმა სროლის ხმა გაიგონა და ამომძახა / ვანო ვანო (ასე მეძახდა) რა ამბავია მგელი ხომ არ დაგეცა. დამეცა მაგრამ მოვკალი მეთქი. იმ საღამოს ცხვარი რომ შინ დავაბრუნე მგელიც თან ჩამოვათრიე მობმული წნელით. ჩემს მასპინძლებს გაუხარდათ — მარჯვე მეცხვარე გვყოლია მგელს ცხვარი არ დააზიანებიაო. სხვა ეპიზოდიც მახსოვს ჩემი მეცხვარეობიდან. ერთ დილით ადრიან ფარეხში რომ შევედი ცხვრისა გამოსარეკად, ვნახე ერთი ცხვარი ზურგზე ეგდო და ფეხებს იქნევდა. ვიფიქრე კვდება მეთქი მი ვირბინე და ხანჯლით ყელი გამოვჭერი, გარეთ გავიტანე და პატრონს ვუთხარი რაც მოხდა. ვფიქრობდი ხორცს საჭმელად გამოიყენებენ მეთქი. მაგრამ დიასახლისმა არ ინდომა „არა არა უსულადო იქნებისო." ქმარიც იმავე აზრისა აღმოჩნდა თუ გინდა შენა ჭამე ჩვენ კი ამის მჭამელი არა ვართო. ეს ამბავი მე როდი მეწყინა, ცხვარი გავატყავე გამოვშიგნე დავჭერი და ერთი დიდი ქვაბი ყაურმა გავაკეთე, მერე ეს ყაურმა გუდაში ჩავყარე და სამი დღის განმავლობაში სულ თან დამქონდა. ახლაც კარგ.მჭამელად მთვლიან და მაშინ ახალგაზრდას უკეთესი მადა მქონდა — ეს ცხვარი მხოლოდ სამი დღე მეყო.

ამ ოჯახში ერთი რომანიც მქონდა. მისი განვითარება ჩემგან არ გამოწვეულა. პატრონს ერთი ვაჟი ჰყავდა, ავადმყოფი დაცემულივით, რაღაც აკლდა მის კაცობას. ცოლად ჰყავდა მშვენიერი ფშაველი ლოყაწითელა კუნთმაგარი გოგო — სახელად თამარი. მათ დიდი ნახევარმიწური სახლი ჰქონდათ. დარბაზის ერთ შორეულ კუთხეში მე მეძინა, ვაჟს თავისი ცოლით მოპირდაპირე კუთხეში ედგა ლოგინი. მხოლოდ მშობლებსა ჰქონდათ ცალკე გადატიხრული ოთახი. რამდენჯერმე თვალი შევასწარი, ქალი რომ ქმარს ლოგინში მიუწვა, ქმარი წიხლსა ჰკრავდა და გადმოაგდებდა. საწყალი აიღებდა ძირს დაფენილ ტყავს და კედელთან მიწვებოდა. მე უმწეოდ ბრაზი მახრჩობდა ამ მშვენიერ გოგოს როგორ ეპყრობა მეთქი.

ერთ დღეს პატრონმა თხილის საკრეფად გაგვაგზავნა მე, მისი რძალი და ერთი მასთან მცხოვრები მოხუცი ნათესავი. შუა კრეფაში რომ ვიყავით მოხუცმა გვითხრა თქვენ უჩემოდ განაგრძეთ მე ფოცხი უნდა ამოვიტანო, ხვალისათვის თივა გვჭირდებაო. ის რომ წავიდა თამარმა ჯიბიდან ქისა ამოიღო, თამბაქო გაახვია და ცეცხლი მთხოვა. ორთავენი თხილის ქვეშ ვისხედით მეც თუთუნი გავახვიე, ტალკვესი გავკარი და აბედს რომ ცეცხლი მოედო ქალს მივაწოდე. იგი თამბაქოს ცეცხლს უკიდებდა და თან თვალებში ჟინით მიცქეროდა და მეც იმ აბედივით ცეცხლი მომედო. გავბედე და ვუთხარი: თამარ რადა გკრავს ხოლმე შენი ქმარი წიხლსა და რად დაგაგდებს ხოლმე მეთქი. ამოიხვნეშა და მიპასუხა — მაგის ცოლობას ძაღლის ცოლობა მირჩევნიაო. აქ კი ველარ მოვითმინე, ქალი ჩემსკენ მოვიზიდე და იგიც ნებით მომყვა. ამგვარად გავხდით ერთმანეთის საყვარლები.

ასე გაგრძელდა ჩემი ცხოვრება ზამთრის პირამდე. ცხვარი მთაში აღარ მიდიოდა. სახლში ვისხედით, დროდადრო ხინკალს მივირთმევდით, ზოგჯერ სტუმრებიც მოგვდიოდა. ფშაველებს სმა და სიმღერა ძალიან უყვართ, ჩემი პატრონი კი შეძლებული კაცი იყო — ცხვრის ფარას გარდა ძროხები და ხარებიც ჰყავდა. ერთ დღეს მასპინძლის თახჩაში რაღაც ნაბეჭდი ფურცლები ვიპოვე, გავსინჯე ვაჟას პოემა იყო: გოგოთურ და აბშინა. გამეხარდა სხვა საკითხავი არაფერი გამაჩნდა, დავჯექ და მარტო ჩემთვის ვკითხულობდი ხოლმე. დიასახლისმა მკითხა რასა კითხულობ ვუპასუხე ვაჟა ფშაველას ლექსია მეთქი: წაგვიკითხე შენი კვნესამე ჩვენც გაგვაგონეო. მაშინ ხმამაღლა დავიწყე კითხვა, გაიკვირვეს როგორ კითხულობს თითქოს ლაპარაკობსო. შემდეგ როცა სტუმრები ჰყავდათ, ამ ფურცელს გადმოიღებდენ და მაკითხებდენ ყველას გასაგონად — მათთვის დეკლამატორად ვიქეც. როცა ფშაველი გოგოთური ხევსურ აბშინას ჯობნის, მსმენელები აღტაცებას ეძლეოდენ და ისმოდა ხო ჰო ჰო ჰო. ჩემი თამარიც სიამითა და სიამაყით მიცქეროდა ხოლმე.

ერთ დილით ჩვენი მეზობელი, რომელმაც ჩემი ვინაობა იცოდა (ისე როგორც თურმე მთელმა სოფელმა) მოვიდა და გვითხრა ჩარგალში მიხა ხელაშვილი მოსულა ქაქუცას კაცს ეძებსო. მე ხელაშვილს მაშინ ჯერ არ ვიცნობდი, იგი ჩემი წამოსვლის შემდეგ შეერთებია ქაქუცას, თურმე ქაქუცას იგი როგორც ფშაველი, ჩემს საპოვნელად გამოუგზავნია — გაეგო ცოცხალი ვიყავ თუ რა მომივიდა. ეს ამბავი ძალიან გამეხარდა. მიხას გაუგია ვიღაც კახელი მავან კაცთან მოჯამაგირედ არისო და უფიქრნია შეიძლება ვისაც ვეძებ ის იყოსო. ამგვარად მოგვადგა ერთ საღამოს.

მისალმების შემდეგ მკითხა ვინა ხარო, მე თვითონ ვკითხე შენ ვინა ხარ მეთქი. მიპასუხა მიხა ხელაშვილი ვარ. მე ვუთხარი მე კიდე ბაადური მქვია მეთქი. გაუხარდა ჰოო სწორედ შენ გეძებდიო. მე ამაღამვე ვბრუნდები ჩემთან უნდა წამოხვიდეო. მეც დავთანხმდი. ეს რომ ჩემმა მასპინძლებმა გაიგეს, ქალები ატირდნენ და გამომშვიდობებისას ყველა რომ გადავკოცნე, თამარი ძლივ მოვიშორე მკერდიდან. ორიოდე დღის საგზალი გამოგვატანეს და წამოვედით.

მშვიდად და უფათერაკოდ მივედით ქაქუცასთან. ისინი ამ დროს მატნის ტყეში იდგნენ, ზამთარი იდგა, ყველას გაუხარდა. ქაქუცამ ყოველივე გამომკითხა და მეც ვუამბე როდის რა შემემთხვა. აქ მატანის ტყეში ჩვენ მთელი ზამთარი გავატარეთ. ქაქუცასთან მრავალი ქართველი მოდიოდა, ზოგი ტფილისიდანაც რათა მახლო ადგილებთან და ტფილისთანაც კავშირი ჰქონოდა. ხშირად მოდიოდა გიორგი მაყაშვილი. მის ოჯახთან ქაქუცას დიდი ახლობლობა ჰქონდა და უფრო ხშირად მოდიოდა გიორგის შვილი ბიძინა. ამ ოჯახმა დიდი მსხვერპლი გაიღო. ალბად იშვიათია სხვა მსგავსი მაგალითი. გიორგი და შვილი ბიძინა დახვრიტეს, დედამ თავი ჩამოიხრჩო, გადარჩა მხოლოდ ელიზბარი, ალბად იმიტომ, რომ სულ ციხეში იჯდა, ხოლო როცა გარეთ იყო ჩვენი დახმარების საქმეში იყო გაბმული.

ოცდაოთხი წლის ზაფხული იყო აჯანყება ახლოვდებოდა. ქაქუცას მიერ გაგზავნილები: მიხეილ ნაცვლიშვილი, კურდღელა, მე და ლაშქარაშვილი, რომელიც ადგილობრივი იყო, ერთაწმინდის ტყეში უსტარაულის წყაროსთან ვიმყოფებოდით. ჩვენს გარშემო უნდა შეგროვილიყო ადგილობრივი აჯანყებულები. მათ შორის ვინც ჩვენ დასაწყისშივე შეგვიერთდა მახსოვს: ილიკო ქარუმიძე ბერბიჭაშვილი, ბიძაშვილები ლევან და შალიკო ჯაგრიშვილები, კიდევ ბიძაშვილები სიკო და ზაქარა ალიმბარაშვილები და ჩვენი საშიკო კარგარეთელი, რომელიც არდადეგების გამო იყო თავის სოფელში ტფილისიდან ჩამოსული. იგი მოიყვანა მისმა ბიძაშვილმა პეტიკო კარგარეთელმა. როცა ყველანი ქაქუცას შევუერთდით, მგონი ალბულაღის ტყეში, იქ იყო ამ დროს მთელი დამკომიც: სპირიდონ ჭავჭავაძე, შალვა ამირეჯიბი, კოტე ანდრონიკაშვილი, იასონ ჯავახიშვილი და ჯინორია. ეს ორი უკანასკნელი მალე ტფილისში დაბრუნდა — თუ რატომ, არ ვიცი.

ყველანი მზად ვიყავით როცა ამბავი მოვიდა აჯანყება გაცემულიაო. ამან ალბად ქაქუცას გეგმები შეაცვლევინა, რადგან როგორც ჩვენ მაშინ ვიცოდით ტფილისზე უნდა წავსულიყავით — რაც არ მომხდარა. ამბობენ, რომ ქაქუცას აჯანყების გადადება განუზრახავს, მაგრამ დამკომის წევრებს სხვა აზრი გამოუთქვამთ. მათ ისიც უთქვამთ, ჩვენ ტფილისში ვეღარ დავბრუნდებით და თავს ვეღარ შევინახავთო. აჯანყება როგორც ცნობილია მაინც მოხდა. ჩვენმა ჯგუფმა მანგლისს შეუტია — ხელმძღვანელობდა ელიზბარი. დილის ხუთ საათზე მანგლისის რუსულ ყაზარმას დავეცით. მიახლოვებისას ვიღაცამ დაიძახა ვინ მოდისო. შალიკო ნებიერიძემ უპასუხა თქვენები ვართო. მაგრამ როცა დაინახეს, რომ წინ აღარ მივდიოდით, მოისმა თუ ჩვენები ხართ რატომ არ გამოჩნდებით თქვენი დედაო და გაისმა ბრძანება ცეცხლიო. ატყდა თოფის და ტყვიამფრქვევის სროლა. რუსების ტყვიამფრქვევი დაბლა სართულის ფანჯრიდან ისროდა. პირდაპირ მისვლა რომ არ შეგვეძლო ნელნელა უკან დახევა დავიწყეთ სხვა მხრიდან შემოსაპვლელად. ამ დროს ტყვიამ ქუდი გამიხვრიტა მაგრამ არავინ დაჭრილა. ის იყო უკანიდან მოვლას ვაპირებდით დავინახეთ თუ, კედელს აკრული ელიზბარი როგორ უახლოვდებოდა ტყვიამფრქვევის ფანჯარას, ელიზბარმა მიახლოვება მოახერხა და ფანჯარაში დასცალა თავისი მაუზერი. ტყვიამფრქვევი დადუმდა რადგან მსროლელი მოკვდა. ჩვენ ამ პაუზით ვისარგებლეთ და ვაშას ყვირილით შეტევაზე გადავედით. ამას მტერი არ მოელოდა და რუსები, ვინ საით, გაიქცნენ. ყაზარმა ჩვენს ხელში იყო მაგრამ იქ ვერ დავრჩებოდით. უკვე თენდებოდა როცა ქაქუცასთან დავბრუნდით, აქედან დუშეთის ასაღებად წავედით. დუშეთთან ახლოს ტყეში შევჩერდით და ღამეს დაველოდეთ. ტყეში ყოფნის დროს უეცრად შევამჩნიეთ, რომ შალიკო ნებიერიძეს მიერ მოყვანილი მეგობარი, - ვინმე იაშვილი გამქრალიყო. იგი თურმე დუშეთში მისულა და გაუფრთხილებია ამაღამ თავს დაგესხმიანო. მიუხედავად ამისა დილით ჩვენ დუშეთი ავიღეთ, დუშეთის საპყრობილეს ასაღებად მე ვიყავ დანიშნული. ციხე გავაღებიეთ და ტუსაღები გავათავისუფლეთ, მაგრამ ზოგი ადგილზე დარჩა. განთავისუფლებულთა შორის იყო მერაბ ჯორჯაძე, რომელიც მეორე დღეს უნდა დაეხვრიტათ. იგი რომ ციხიდან გამორბოდა, საშიკო კარგარეთელს ეგონა ვიღაც კომუნისტიაო და ესროლა. მადლობა ღმერთს რომ ააცილა მერაბი მიხვდა, რომ მტრად მიიღეს და დაუყვირა თქვენი ვარ ნუ მესვრითო და ასე გადარჩა. მერე ის ჩვენ შემოგვიერთდა და საზღვარზე ერთად გადმოვედით.

დუშეთიც დავტოვეთ რადგან ჩვენი მცირე ძალებით ქალაქს დიდხანს ვერ შევინარჩუნებდით და ან რა აზრი ჰქონდა მხოლოდ ერთი ქალაქის შენარჩუნებას, თუ მთელი საქართველო მტერსა რჩებოდა. ტფილისის დაკავების შეუძლებლობის შემდეგ, ჩვენი აჯანყების ცალცალკე ეპიზოდები, მხოლოდ იმის დამტკიცება იყო, რომ საქართველო მასიურად აჯანყდა რუსების წინააღმდეგ.

დუშეთის ამბების შემდეგ საქართველოში ჩვენი რაზმის მოქმედება შეუძლებელი გახდა და არც აზრი ჰქონდა. სხვა არა იყოს რა, ეს აურაცხელ მსხვერპლს გამოიწვევდა. ამის გამო ქაქუცამ გადაწყვიტა საქართველო დაეტოვებინა და უცხოეთში გახიზნულიყო. ამის შესასრულებლად საჭირო იყო ცხენები გვყოლოდა რადგან საზღვრიდან შორს ვიყავით, ფეხით მოძრაობა დიდხანს გაგრძელდებოდა,, ჩვენს კვალს აიღებდენ და უმიზნო ბრძოლები შეგვხვდებოდა. გავიგეთ, რომ სოფელ სიმონიანთხევში წითელი ჯარის ცხენოსანი ნაწილი იდგა. ქაქუცამ მათი განიარაღება და ცხენების წართმევა გადაწყვიტა, ამოცანის ასასრულებლად რაფო ერისთავი დაინიშნა.

სამხედრო ნაწილის ყაზარმა და თავლა სოფლის გარეთ დაბლობში მდებარეობდა. თავდასხმა ღამით მოეწყო. მახსოვს როდესაც იმ ადგილს ვუახლოვდებოდით, მე რაფოსთან იჭვი გამოვთქვი იქნება გაგვიძნელდეს აღება ჩვენ ოცამდე ვართ ყაზარმაში კი მთელი ესკადრონია მეთქი. რაფომ სრული სიმშვიდით მიპასუხა, შენ დარდი ნუ გაქვს აი ნახავ სულ კუდით ქვას გასროლიებო და ამიხსნა: ისინი ჯარისკაცები არიან, მოვალეობას იხდიან არც ერთი მათგანი მოხალისე არ არის. ჩვენ კი იძულებულნი ვართ ეს საქმე გავაკეთოთ სხვა გზა არა გვაქვს, და გარდა ამისა ჯარი იქნება თუ მილიცია, იმათ ჩვენი მეტი შიში აქვთ ვიდრე უნდა ჰქონდეთ და არც ის იციან თუ რამდენი ვართ და ჩვენი თავდასხმა მათთვის სრულიად მოულოდნელიაო.

მართლა ასეც მოხდა. სროლის ატეხისთანავე დაიბნენ, წინააღმდეგობაც არ გაუწევიათ და არ უსვრიათ. საცვლების ამარა, ზოგი ფანჯრიდან გადმომხტარი, ზოგი კარებიდან გარბოდა. შიგ რომ შევცვივდით ხუთი მკვდარი და ერთი დაჭრილი ვიპოვეთ, ერთი კი ტყვედ ჩავიგდეთ. ეს ტყვე ახალგაზრდა მეგრელი ბიჭი ცხადად ნებით იყო დარჩენილი და როცა იგი რაზმის ბინაზე მივიყვანეთ, ჩვენთან წამოსვლა ისურვა მაგრამ ქაქუცამ ურჩია შენთვის უმჯობესია სახლში წახვიდეო და გაუშვა. რაც შეეხება დაჭრილ ჯარისკაცს, იგი ჩემი ნაცნობი ქართველი რუსი გვარად ბურნუსუსოვი გამოდგა. იგი დამოუკიდებლობის დროს ცხენოსან ასეულში იყო ჩემთან ერთად. როცა ვიცანი ვუთხარი ბურნუსუსოვ შენც გაკომუნისტდი მეთქი? არაო მე კომუნისტი არა ვარ, ჯარში ვარო მიპასუხა ხრინწიანი ხმით, რადგან ყელში იყო დაჭრილი.

ცხენები რომ თავლიდან გამოვიყვანეთ, გათენდა კიდეც და ჩვენ სოფლის კოოპერატივს მივადექით თამბაქოსა და ასანთის წამოსაღებად. მცოვრებლებიც შიგ შემოცვივდნენ და რაც კი კარგი იყო, განსაკუთრებით ფართალი გაიტაცეს. ჩვენ თუთუნისა და ასანთის გარდა არაფერი წაგვიღია.

ბინაზე რომ დავბრუნდით ყველანი ამხედრებულნი, ტრიალეთზე გავლით თურქეთის საზღვრისაკენ დავიძარით. საზღვარი სოფელ ზურზუნას პირდაპირ გადავლახეთ. სოფელ ზურზუნაში თეთრი დროშებით შევედით. ძალიან კარგად მიგვიღეს მაგრამ როცა სრულიად ნორმალური და კანონიერი, იარაღის ჩაბარება მოგვთხოვეს მე და ალბად სხვებსაც გული მტკიოდა. წლების განმავლობაში ბოლშევიკებისმიერ ვერ წართმეული იარაღი ერთმა ტილიანმა თათარმა ჩამოგვართვა. მხოლოდ ქაქუცას დაუტოვეს მისი რევოლვერი. აქედან არდაგანში წავედით იქ ქაქუცა მრავალ ნაცნობ ქართველ მაჰმადიანს შეხვდა — ყველანი ეგებებოდენ და ეხვეოდენ. აბაშიძემ სახლში მიგვიწვია და გულით გაგვიმასპინძლდა. არდაგანში ცხენები გავყიდეთ მაგრამ როგორც პირობა იყო, მხოლოდ ართვინში ჩავაბარეთ მყიდველს. ართვინში შეგვხვდნენ გიორგი და სიმონ წერეთლები, მირიან მელუა, შიოქურიძე და სხვები. ართვინიდან ფეხით წავედით ხოფაში, იქედან კი მოტორიანი ნავით რიზეში, საიდანაც სტამბოლს ჩავედით. რამდენიმე დღის შემდეგ ბერძნულ გემზე ავედით, რომელსაც პრომონტის ერქვა. მარსელში დაგვხვდნენ მთავრობის წარმომადგენელი ჰ. ასათიანი და თვისი სურვილით მოსული თ. დადეშქელიანი. მახსოვს იშვიათი სურათი: როგორ ჩაიკრა დევკაცმა თენგიზმა გულში ქაქუცა — თითქოს სრულ ვაჟკაცს მოზარდი ჭაბუკი მოექციოს მკლავებში.



სურათი გადაღებულია თურქეთში

ქ. ასათიანს ინსტრუქცია ჰქონია, რომ პარიზში მხოლოდ ქაქუცა, სპ. ჭავჭავაძე და შალიკაშვილი უნდა წასულიყვნენ. ჩვენთვის კი პარიზში წასვლა თითქოს შეუძლებელი იყო. ამაზედ ქაქუცამ განაცხადა — ან ყველანი წავალთ ან მეც მათთან დავრჩებიო. ამგვარად ასათიანი იძულებული გახდა ყველანი პარიზში გაემგზავრებია.. ეს ჩვენ მიმართ დადგენილი აკრძალვა მით უფრო უცნაური იყო, რომ ჩვენთან ერთად ჩამოსული ჯგუფი სოციალ-დემოკრატებისა დაუბრკოლებლად მიდიოდა პარიზში. ამგვარად ჩამოვედით პარიზში. გავხდით ჩვეულებრივი ემიგრანტები. შორს დაგვრჩა კახეთის ტყეები, ფშავ-ხევსურეთის მთები, არაგვის ხეობა და მტკვრის ნაპირები.

P. S. ვწუხვარ მაგრამ ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს, ამ ნაამბობს შენიშვნის სახით დავუმატო ეს განცხადება: ბატონ ჩუბინიძის მოტანილი ცნობა ქაქუცასთან მისი შეხვედრისა ხევსურეთში, მთლიანად მოგონილი ამბავია.

ა. ბადურაშვილი.

## აღკვეთილი სახელი

ყველასათვის ცნობილია, თუ რამდენად მხეცური და საშინელი იყო შაჰაბასის შემოსევა საქართველოში და როგორი მძიმე ლოდად აწვა ჩვენს ქვეყანას ამის მოგონება ხანაში. მაშინ საერთოდ აოხრებულ მხარეთაგან, ყველაზედ უფრო სასტიკი აოხრება კახეთმა განიცადა. ეს იმიტომ, რომ ყველაზედ მეტს წინააღმდეგობასაც, საქართველოს ეს გმირული კუთხე უწევდა მტერს — თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო და სხვა მიზეზთაც. დაუნდობლად გაჟლიტა მაშინ კახეთის მოსახლეობა. ქვეყნის მთელი სიდიდე აჰყარეს და ათიათასობით ქალი და კაცი სპარსეთში გადაასახლეს, ხოლო მათ ადგილზე მომთაბარე თურქმენების დასახლება დაიწყეს, რასაც უნდა მოჰყოლოდა, განვითარებულ მეურნეობით აყვავებულ მხარის გადაქცევა ცხვრის საძოვარ მინდვრებად.

ეს ამბავი დაწვრილებით აღწერილია ქართულ ისტორიაში და ამაზე არ შევჩერდები. მრავალ გმირობას და თავდადებას ჰქონდა ადგილი თავგანწირულ მოსახლეობის წიაღიდან გამოსულ უბრალო გლეხთა შორისაც, რომელთა სახელები ჩვენამდე არ მოღწეულა. ჩვენ ვიცით მხოლოდ სახელები მეთაურებისა. ესენი არიან სხვადასხვა დროის მოქმედნი: ქეთევან დედოფალი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ნოდარ ჯორჯაძე დავით ჯანდიერი, თუში ზეზვა გაფრინდაული, ხევსური ნადირა ხოშურაული, ფშავი გოგოლაური და სხვანი.

მაგრამ ქართველებში ქვეყნის მოღალატენიც აღმოჩნდებოდენ ხოლმე. ამიტომ ამბობენ: ცხე შიგნიდან გატყდებაო. ყველაზედ უფრო ცნობილი ამ მოღალატეთაგან კახთა მეფის ალექსანდრე მეორის მკვლელი სპარსეთში აღზრდილი მისივე შვილი კონსტანტინე ბატონიშვილია.

ერთ ასეთ მოღალატეთაგანი ყოფილა სიმონ მაყაშვილიც. ეს სიმონი სრული ნდობით სარგებლობდა მეღვარ ქართველ მეთაურების: ჩოლოყაშვილების, ჯანდიერების, ვაჩნაძეების, ანდრონიკაშვილების, თავისივე ძმების და ბიძაშვილების მაყაშვილების და სხვათა წრეში. მაგრამ მეტი წარჩინების და ქონების შეძენის სურვილმა და ნუწკობამ დასძლია. უღალატა ერს და თავის მოძმე მებრძოლებს, მიუდგა შაჰაბასს, გასცა საიდუმლო და მტერს კახეთში შემოუძღვა. მან მოღალატურად ხელი შეუწყო სპარსელებს კახეთის აოხრებაში და შაჰაბასის მარჯვენა ხელად იქცა.

კახეთის ჭაბუკების მეთაურთა სახელები ყველასათვის ცნობილია, ესენი იყვნენ: შალვა, ელიზბარ, ბიძინა. აჯანყებულები ჩაუსაფრდენ მოღალატე სიმონ მაყაშვილს და ხმლებით აკუწეს იგი. ხოლო შაჰაბასის წყალობით შეძენილ მის ციხეკოშკს ცეცხლი წაუკიდეს. ამ ამბის გამოხმაურებაა აკაკის ბაშიაჩუკში ჩართული ეპიზოდი, სადაც ბაშიაჩუკი ჰკლავს სიმონ მაყაშვილს, მაგრამ ეს ლიტერატურული განსხვავებაა, ისტორიულად სხვაგვარად მომხდარი ამბისა.

გვიან ამის შემდეგ, კახეთის ეპისკოპოსმა წირვის დროს საჯაროდ შეაჩვენა, დასწყევლა და კრულვით მოიხსენია სიმონ მაყაშვილი. ამ წირვას მთელი გვარი დაესწრო მაყაშვილთა. ყველა დაჩოქილი უსმენდა მათი გვარის შემარცხვენელის დაწყევლას. და აქვე ყველამ, მათ შორის სიმონის ძმებმა და ბიძაშვილებმა, ფიცი დადვა, რომ მაყაშვილთა გვარში აღკვეთებოდა სახელი სიმონ.

მაყაშვილები დადებულ ფიცს ერთგულნი დარჩნენ. ეს აღკვეთა თაობიდან თაობაზე, ოჯახიდან ოჯახზე გადადიოდა მას შემდეგ დღევანდლამდე და მაყაშვილთა შორის ვერავის იპოვნით, რომ ამ ქვეყნის მოღალატისა და გვარის შემარცხვენელის სახელი ეტარებინოს.

ელიზბარ მაყაშვილი

ნოემბერი 1981 წ. Mbul egan Ledi gnan
საფრანგეთი

## ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს

კალე სალია, ქართველი ერის ისტორია (ფრანგულ ენაზე). 559 გვერდიანი წიგნი, რომელთაგან 450 გვერდი საკუთრივ ისტორიაა, ხოლო დანარჩენი– დამატებითი თავებია: ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა, გეოგრაფიული ცნობები. ეს თავები გადმობეჭდილია „ბედი ქართლისას“ 72–77 წლის ნუმრებიდან. წიგნი კარგ ყდაშია ჩასმული. შიგ მოთავსებულია 58 კლიშე, რომელთაგან თორმეტი ფერადი სურათია, ხოლო რვა რუკა. წიგნში აგრეთვე მოთავსებულია ქართული დამწერლობის ნიმუშები (ასომთავრული, ნუსხური, მხედრული) და ქართული ანბანის განვითარების შედარებითი სურათი. მოყვანილია აგრეთვე ბაგრატიონთა გენეოლოგიის სქემა, რასაც მოსდევს ქრონოლოგიური ტაბულა: 150 თარილი ქ. წ. მეთვრამეტე საუკუნიდან 1918 წლამდე. აგრეთვე დაბეჭდილია ჯაყელ-ციხისჯვარელთა გენეოლოგია და საქართველოს მღვდელმთავართა სია დასაწყისიდან დღევანდლამდე.

ისტორიული თხრობა მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე (თუმცა შესავალში ნათქვამია– რომ თხრობა მიყვანილია რევოლუციამდე, მაგრამ ეს არასწორი ცნობაა და იგივე გამეორებულია ბოლოსიტყვაობაში). პერიოდი ოთხმოცდაათიან წლებიდან რევოლუციამდე თეთრად არის დატოვებული, ხოლო ხანა რევოლუციიდან გასაბჭოებამდე წარმოდგენილია საკმაოდ წესიერად და სრულად შედგენილ ქრონოლოგიით.

შესავალში ნათქვამია, რომ ავტორს არ ავიწყდება აწ გარდაცვლილ რენე ლაფონის შენიშვნა: ევროპულ ენაზე არ მოიპოვება საქართველოსა და მეზობელ ქვეყნების შესახები დამაკმაყოფილებელ ცნობათა შემცველი ნაშრომი. ლაფონის ეს სიტყვები გულისხმობს, რომ უკვე ოცდაათი წლის წინ გამოცემული მანველიშვილის ნაშრომი, რომლისარსებობაც, ზედმეტი არ იქნებოდა ანალოგიურ შემთხვევებში მიღებულ წესისამებრ რომ აღნიშნულიყო, დღევანდელ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რაც ცხადია მართალია, მაგრამ ყოველივე ეს რეცენზენტს თითქმის აიძულებს ორი ნაშრომი ერთიმეორეს შეადაროს – თუნდ მხოლოდ იმისათვის, რომ დავინახოთ თუ ამ დარგში არსებულ ხარვეზის შევსება რა ზომით არის მიღწეული. გ. სალიას წიგნის თხრობა მანველიშვილისაზე უფრო ვრცელი ჩანს: მანველიშვილთან 450 გვერდიდან 150 გვერდი შესავალს, უძველეს პერიოდს და უახლეს ხანას უკავია. ასე რომ ისტორიულ ხანას რომელსაც მანველიშვილი სამას გვერდს უთმობს, გ. სალიას 450 გვერდი შეესაბამება. მხოლოდ საქმე ხომ მარტო მოცულობაში არ არის. როდესაც სამიათასწლიანი ისტორია 450 გვერდშია შეკუმშულად დატეული, ისმება პრობლემა მასალის შერჩევა-განაწილებისა ე. ი. უფრო მნიშვნელოვანისათვის უპირატესობის მინიჭებისა. შემდეგ არის საკითხი ისტორიულ თხრობისათვის შესაფერ ენის ხამარებისა და ბოლოს კომპილატორის უნარი „ამოჭრილ“ ნაწილების ერთიმეორეზე ისე გადაბმისა, რომ წიგნი ერთ მთლიანობასა და ერთ კონცეპციის გამოხატვას წარმოადგენდეს. საუბედუროდ ყველა ამ საგნებში მანველიშვილის წიგნი სალიასაზე უფრო დამაკმაყოფილებელია. (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ორი ნაშრომის გამოცემას ოცდაათი წლიწადი ჰყოფს და ამიტომ ცხადია: გ. სალიას განკარგულებაში უფრო ახალი დამუშავებული მასალა იყო). რაც შეეხება გამოცემის ტექნიკურ მხარეს, გ. სალიას წიგნი ამ მხრივ ცხადია ბევრად უკეთესია: ყდა, ქაღალდი, მდიდარი ილუსტრაცია, მსხვილი შრიფტი და დამატებითი თავები წიგნის ღირსებას ამაღლებენ. დახარჯულია დიდი შრომა, გაწეულია დიდი ამაგი. მაგრამ სამწუხაროდ წიგნი უნაკლო არ არის, არამედ იგი ნაკლთა სამწუხარო სიმრავლეს შეიცავს. საბედნიეროდ მათში უმეტესობის შემჩნევა, არც ისე ადვილია უცხო მკითხველისათვის. საქმე იმაშია, რომ წიგნის ტექსტი, ამ ძნელად შესამჩნევ ნაკლთა გარდა, მშვენიერია, რადგან ყველაფერი უკვე გამოქვეყნებულ შრომებიდან არის ამოღებული და ფრანგულად თარგმნილი. მაგრამ სავალალოდ ავტორს თავი ვერ შეუკავებია თავისი საკუთარი აზრები და მიგნებანიც (ასე ეგონა ალბად) ჩაემატებია. ხოლო რადგან მას, სხვამხრივ ასე ნიჭიერ კაცს, ისტორიკოსის არც ნიჭი, არც ფხა არა ჰქონია, ამ წიგნის გულდასმით წამკითხველი გაკვირდება უცნაურ მოვლენით: როგორი უვიცი ჩანართებით არის შერყვნილი მშვენიერი ტექსტი. გარდა ამისა, საქართველოს ისტორიის მცოდნე მკითხველი მაშინვე შეამჩნევს, რომ წიგნში დიდი ადგილია უაზროდ დახარჯული უმნიშვნელო და შეუფერებელ მასალის მოთავსებით, მაშინ როდესაც ფრიად მნიშვნელოვანი ამბები ან სრულიად მოუხსენებელია, ან რამდენიმე სტრიქონით ღა არის აღნიშნული.

დავიწყოთ ამ უკანასკნელთაგან: წიგნში გვერდნახევარი აქვს დათმობილი ხანას აღმაშენებლიდან თამარის გამეფებამდე, ე. ი. დემეტრეს, დავითის და გიორგის მეფობის ხანას და ცხადია ნახსენებიც არ არის უფლისწულ დემნას სახელი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. საქმე კი შეეხება ბაგრატიონთა დინასტიის მამრობითი ხაზის გარდაკვეთა– შეწყვეტას და ამის შედეგად მომხდარ ამბავთა მიზეზს. დემნას ტრაგედია ისეთი მოვლენაა, რომელსაც შეუძლებელია, ღრმა დაღი არ დაემჩნია უნებურად გამეფებულ ნაზი ქალწულის, თამარის პიროვნებაზე. ასეთი მნიშვნელობის ფაქტის არ აღნიშვნა გაუმართლებელია.

წიგნში სრულებით უგულებელყოფილია გიორგი ლაშას პიროვნება (მას ათი სტრიქონი ეთმობა) – მაშინ როდესაც ეს თავისუფალ–მოაზროვნე უფლისწული გვევლინება, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი, უაღრეს განვითარების წერტილს მიღწეულ და ამასთანავე ფუფუნებითა და უზრუნველობით განებივრებულ საზოგადოებისა. გიორგი ლაშა სამეფო კაცი არ იყო მაგრამ ამ მიზეზით მისი

არ დახასიათება დიდი შეცდომაა ისტორიკოსისათვის. გიორგის გარდაცვალება და რუსუდანის გამეფება ორიოდე სიტყვითაა ნახსენები და როდესაც ბ. სალია გვეუბნება : გიორგი ლაშა მის შვილს ტახტის მემკვიდრედ არ მიიჩნევდაო, შესაძლებელია ბ. სალია ასე ფიქრობდეს, მაგრამ მას უფლება არა აქვს აქვე არ მოიყვანოს , ყველა ძველ ქართველ ისტორიკოსებში უპირველესის ჟამთაღმწერლის მიერ მოყვანილი გიორგის ანდერძი, დიდებულთა წინაშე სიკვდილის ჟამს თქმული „ . . . დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქვენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით, ხოლო რაჟამს ეძლოს მეფობა და მხედრობა, რომელ დავით მეფე ყოს და იგი დაადგინეთ მეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა“ ო. და რათქმა უნდა , არც რუსუდანის ხვანჯებია ნახსენები. ასე რომ დავით ლაშას ძე, ისე ჩნდება ასპარეზზე, თითქოს ხლათში სასეირნოდ წასული დაბრუნებულიყოს იქედან

ბ. სალიას იქნებ ჰგონია, რომ საქართველოს ზოგ მესვეურთა სუსტ მხარეთა დამალვით ქართველთა სახელს ემსახურება. პირიქუ, ნამდვილ დამნაშავეთა დამალვით , ქვეყნის მიერ განცდილი მარცხის ბრალი მთელს ერს ედება. ბ. სალიას საუბედუროდ საჭიროდ არ მიაჩნია მაგალითად გაიხადოს იგივე ჟამთაღმწერელი , თორემ მის სიტყვებს დაუჯერებდა : „ ჟამთაღმწერლობა ჭეშმარიტისა მეტყველება არს და არა თვალთ - ახმა ვისთვისმე “ო.

ამგვარი არბიტრალური შეკვეცები წიგნის მოცულობის განსაზღვრით რომ არ არის გამოწვეული, ამის დამამტკიცებელი მაგალითია მის მიერ პირადი მოტივით დახარჯული თორმეტი გვერდი წიგნის ისტორიულ ნაწილისა, სადაც იგი ისე იქცევა, თითქოს ეს წიგნი მისი სუფრა იყოს რომელზედაც მასპინძელი მისთვის სასურველ სტუმრებს ეპატიჟება. ოთხი გვერდი აქვს დათმობილი გ. რობაქიძის ლინგვისტურ მხატვრულ მითოლოგიურ მსჯელობას, შესახებ არწივის მიერ ამირანის ღვიძლის კორტნისა და შესახებ სვან მონადირეთა და დალის ურთიერთდამოკიდებულებისა. გრ. რობაქიძე საერთოდ ისტორიკოსობიდან ძლიერ შორს არის – იმდენად, რომ მაგალითად მის მიერ აკვიატებული სახელწოდება „კარდუ“, არც კი მოიპოვება რვატომეულის საძიებლებში. იგი სულ სხვა ყაიდის მწერალია და მისი აზრებისა და შეხედულების მეცნიერულ წიგნში შემოტანა ვერაფერი სამსახურის გაწევაა როგორც თვით რობაქიძისათვის , ასევე წიგნის ხარისხისათვის. მოყვანილ წერილში რობაქიძე ისტორიულ თვალსაზრისით როდი უდგება საკითხს. მას ქართული ენის თვისებისა და ხარისხის გამოვლინება აინტერესებს და გვეუბნება, რომ ქართულში, სიტყვები: ღვიძლი და ღვიძილი ერთიდაიგივე ძირისანი არიანო და გასაგებიაო რომ ამირანს არწივი სწორედ ღვიძლსა ჰკორტნიდა რომ მისთვის ძილი მოესპოო. აქ ისტორიული შეცდომა ისაა, რომ არწივი და ღვიძლი ჰესიოდეს მიერ შექმნილ თხზულებაშია და ბერძნულ პრომეთეს შეეხება ხოლო ქართულ ამირანში არც არწივია და არც ღვიძლი ნახსენები. როგორც ვხედავთ აქ რობაქიძე მარტო ისტორიულად კი არა ლიტერატურულადაც კი ცდება.

თუ ასეთ შეკუმშულ წიგნში ამირანის ასე ვრცლად მოყვანა აუცილებელი იყო, ბ. სალიას განკარგულებაში არ იყო პროფესორ შარაშიძის ნაშრომები? ნაშრომები სპეციალისტისა და ისიც ფრანგულ ენაზე, რომელთა თარგმნაც არ იყო საჭირო? მაგრამ რობაქიძის წერილის ამ წიგნში დაბეჭდვის მიზეზი ის პირადი დაახლოვება არის, რომელიც ბ. სალიას რობაქიძესთან ჰქონდა. ამ წიგნში დიახაც ეკუთვნოდა ადგილი რობაქიძეს –მაგრამ სხვაგან, დამატებით ლიტერატურულ თავებში, რაც ავტორმა ვერ გაბედა....

სხვა ადგილას რვა გვერდი ეთმობა ბ. ტაბალუას მიერ ფრანგულ არქივებიდან გამოტანილ ფრანგ მოხელეთა მიწერმოწერას , რომელნიც არც თვით საბა-სულხანის მოქმედებას, რომლის მოგზაურობასაც ეხება ეს მიწერმოწერა, არც რათქმა უნდა საქართველოს ისტორიას რაიმე ფრავითარ შუქს არა არა ჰფენს. მაშ რად იბეჭდება , ისტორიულ თვალსაზრისით, სრულიად უმნიშვნელო ეს დოკუმენტები ასეთ შეკუმშულ წიგნში საქართველოს ისტორიისა? დოკუმენტები, რომელნიც იმდენად უმნიშვნელონი არიან, რომ ჩვენი ისტორიის ოცდათოხტომიან გამოცემაშიც შეუძლებელია მათი მოთავსება? ამ მასალის მოტანა , საქართველოს ისტორიას არაფერსა ჰმატებს, მაგრამ ემიგრაციისას კი. როცა ქართული ემიგრაციის ისტორია დაიწერება , საძებნი არ იქნება თუ გარკვეულ ხანის გაზავლობაში ვის ეჭირა ხელთ ის უხილავი ძაფები, რომელთა მეშვეობითაც ბოლშევიკები თავიანთ მარიონეტებს ათამაშებდენ ჩვენს სათვისტომოში. იქნებ ვინმემ თქვას: სხვაგვარად ეს წიგნი საერთოდ ვერ გამოიცემებოდაო. ეს სხვა საკითხია. მე აქ წიგნის ხარისხს ვეხები.

ახლა სხვა ხასიათის შენიშვნებზე გადავიდეთ. საქართველოში არცერთ პიროვნებაზე არ დაწერილა იმდენი წიგნი, რამდენიც რუსთველზე დაიწერა და მიუხედავად ამისა როგორც ვიცით, შოთას ბიოგრაფიის ფურცლები თოვლივით თეთრია. ბ. სალიას მიხედვით კი , თამარს შოთა იერუსალემში გაუგზავნია ჯვარის მონასტრის რესტავრაციისათვის და საამისო თანხაც მიუცია მისთვის. (საუბედუროდ თანხის ოდენობა არ მოჰყავს). ისტორიის წიგნში ასეთი ცნობის უკომენტაროდ შეტანა დასაშვებია?

სამას არაგველთა თავგანწირვის ცნობილი ამბავი კრწანისის ველიდან არაგვის ხეობაშია გადატანილი. და თურმე ხევსურთა რაზმს კი არ დაუჩეხია სპარსელი მოთარეშენი, არამედ სამასი ხევსური შეწირვია ამ საქმეს. სხვაგან ყირიმის ომის შესახებ ვკითხულობთ ფრაზას „თურქებმა საქართველოში შეჭრის განზრახვაზე ხელი აიღეს და მთელი მათი იმედი დაამყარეს ბრძოლებზე, რომელნიც მიმდინარეობდენ სებასტოპოლსა და ყარს შორისო“. ?56 გვერდზე იპოვნით ფრაზას: „იბერიისა და ქართლის სახელმწიფოთა ორგანიზაცია“ –თითქოს ქართლი და იბერია სხვადასხვა სა-

ხელმწიფოები ყოფილიყვნენ. იმავე გვერდზე წერია: ორიათასი წლის წინად ქართლის მეფეები „ქართველთა დიდ მეფის ტიტულს ატარებდნენო“. გამოთქმა ქართველთა სამეფო და ქართველთა მეფე, ბევრად უფრო გვიან არის გაჩენილი. იქვე ვკითხულობთ აქამდე უცნობ ამბავს: იბერიაში ტახტის მემკვიდრე მიჩნეული იყო როგორც მეორე პირი სახელმწიფოში და დიდი გავლენა ჰქონდაო. ცხადია აქ სტრაბონისეული „მეფეს შემდეგ მეორე პირი იგულისხმება“, მაგრამ რა უფლებით ნათლავს მას ზ. სალია ტახტის მემკვიდრის სახელით. ტახტის მემკვიდრე ჩვეულებრივად მეფის შვილია და საერთოდ სტრაბონს ეს გამოთქმა არა აქვს ნახმარი. ამ „მეორე პირის“ მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს, მაგრამ „ტახტის მემკვიდრე“ მისთვის არავის დაურქმევია.

გვ. 39 ნათქვამია: ანტიკური ხანის ბერძნები დას. საქართველოს კოლხიდას უწოდებდნენ, მაშინ როდესაც მისი ეროვნული სახელწოდება (აპელასიონ ნასიონალ), ეგრისი იყო. ეს ასე არ არის: ეგრისი ქართული მწიგნობრული ფორმაა. ანტიკურ ხანაში, ლაზურ-მეგრულ ენოვანი მოსახლეობა თავის ქვეყანას, ასეთი ფორმის მქონე სახელს ვერ დაარქმევდა, არამედ ეგრიში იქნებოდა, მაგრამ არც ეს მომხდარა. ანტიკური ბერძნები, არგვეთს მოიხსენიებენ „ეგრიკეს“ სახელით. ხოლო ქართველი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ეგრიკე ქართული „ეგრითიდან“ უნდა მოდიოდეს. (იხ. ისტ. ნარკვევები, ტომი პირველი, გვერ. 422, 423, 424) ეს მაიც შეესწავლა მეგრელ სალიას.

არის ადგილი (გვ. 45) სადაც ავტორი ნამდვილ ილუზიონისტის ნიჭსაც კი იჩენს. ვის არ უნახავს ფრაკში გამოწყობილი ილუზიონისტი, უბეში რომ კურდღელს ჩაისვამს და მის ნაცვლად ქათამს რომ ამოაფრენს. აბა ყური დაუგდეთ: ქართლის მოქცევაში მოხსენებულია უცნობი ადგილი „არიან ქართლი“, აი ერთი ფრაზის ბოლო: „რომელნი იგი ღმერთად ჰქონდეს მამათა თქვენთა არიან ქართლით“. ამ გამოთქმის ახსნა ჯერჯერობით ვერავინ შესძლო. მაგრამ ზ. სალიამ სულ ადვილად მოახერხა. იგი ფრანგებს აწოდებს „თარგმანს“: Azo, fils du roi ''Aryens--Kartvels" c'est-a-dire des Georgiens aryens (L'Aryens-Kartli). ამაზედ უკეთესი მოკვარახჭინება თუ ვინმეს შეუძლია, დაიკვეხოს. ალბად ამ აღმოჩენისათვის, ფრანგულის შემდეგ, ახლა ქართული აკადემიის ჯილდოს ელოდება-რატომაც არა, ამ სოფლად ყველაფერი მოსალოდნელია.

წიგნში ძველ ხანაზე საუბრის დროს სიტყვა „ერი“ თარგმნილია სიტყვით „ნასიონ“. მაშინ როდესაც ძველად და შემდეგშიაც კარგა ხანს, ეს სიტყვა ფრანგულ ნასიონს არ უდრიდა. ერისთაობის წარმოშობისას ერი ჯარს ნიშნავდა, შემდეგ მას სხვადასხვა მნიშვნელობა მიეცა: წვრილი ერი, ქალაქის ერი, დარბაზის ერი, ერისკაცი, საერო და სხვა. და საერთოდ სრულებით არ იყო საჭირო ამ წიგნში ისტორიულ ტერმინთა ახსნის ასეთი არასრული და ზოგჯერ მცდარი თარგმანის მოთავსება, რასაც ავტორი ხშირად ჩადის. რიგითი მკითხველისათვის ეს საერთოდ ზედმეტია, ხოლო სპეციალისტი ამგვარად მიწოდებულ მასალას მაინც ვერ გამოიყენებს, რადგან ყველაფერი არეულია.

1382–1517 წლებში ეგვიპტეს მართავდა ჩერქეზულ წარმოშობის მამელუკთა დინასტია, რომელიც ჩერქეზ და ქართველ მამელუკთა ძალას ეყრდნობოდაამ კავკასიელ მამელუკთა სიმპატიებით და მფარველობით სარგებლობდა იერუსალემის ქართული სამღვდელოება, რომელსაც დიდი პრივილეგიები ჰქონდა მინიჭებული. ამ ამბავს (გვ. 206) ზ. სალია შემდეგი ფრაზით გამოსთქვამს: „ამ დინასტიის მეფობის ხანიდან იწყება ნამდვილი სუვერენობა საქართველოსი იერუსალემის წმინდა ადგილებზეო“ და ცოტა ქვემოდ „ეს წმინდა ადგილი . . . 150 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს მშვიდობიან ადმინისტრაციაშიო“ ასეთი ბრიყვული ჭკუის შემცველი დასკვნა დასაშვებია ისტორიის სერიოზულ წიგნში? როგორ შეიძლება ნამონგოლარ იავარყოფილ საქართველოს სუვერენიტეტზე და მის მიერ წმინდა ადგილთა ადმინისტრაციის შესრულებაზე ლაპარაკი. ჩვენი ქვეყნიდან გატაცებულ ტყვეთაგან შემდგარი ჯარი რომ უცხო ქვეყნის ძლიერებას ქმნიდა ამას საქართველოს სუვერენობა ჰქვია?.

როგორც ცნობილია, რომაელთა იბერიაში მოსვლიდან დაწყებული, რომის იმპერიის მთავარი სამ-მარი მოქმედებანი პართიის წინააღმდეგ წარმოებდნენ— მცირე აზიაში ჰეგემონიისათვის. იბერია ამ უზარმაზარ ფრონტის მარცხენა ფრთის წვერი იყო. რომაელთათვის აუცილებლობას წარმოადგენდა იბერიის ან ფლობა ან მეგობრად ყოლა. ავტორი ყოველივე ამას ივიწყებს და ირწმუნება: „მონების იაფად მოპოვება იყო მთავარი ინტერესი რომაელებისა იბერიისა და კავკასიის მიმართო“ (გვ. 59). ქართული ისტორიოგრაფია კი გვეუბნება: იბერიაში მონათმფლობელობამ ფართო ხასიათი იმიტომ ვერ მიიღო, რომ კავკასიის მთიანეთის და გადაღმა ბარის ჩამორჩენილი ტომები, საიდანაც შეეძლო იბერიას მონები მოეპოვებია, იბერიას მეგობრად ჭირდებოდა, რადგან მათგან გამოყვანილ, დაქირავებულ თუ ნადავლის საშოვრად მოსულ მეომრებზე ემყარებოდა თვით იბერიის სამხედრო ძლიერებაო. ავტორი ვერც კი ამჩნევს ამ მტკიცების სიმძიმეს: ეს ხომ თვით რომის ისტორიის სალიასეული ინტერპრეტაციაა და უნდა ვიფიქროთ, რომ ტაციტუსიდან დღემდე სალიას გარდა ვერავინ განჭვრიტა რომის პოლიტიკის ეს „მთავარი“ ინტერესი.

გვ. 55. უფლისციხე ისეთ კონტექსტშია მოხსენებული, რომ მკითხველი იფიქრებს ურარტელთა აშენებულიაო, ხოლო ამ უკანასკნელთა ვინაობა ისე აქვს ახსნილი, თითქოს ურარტელები, არც მეტი არც ნაკლები, დღევანდელი ჭანების წინაპრები ყოფილიყვნენ. და ეს აზრი ჰიპოთეზის სახით როდია გამოთქმული, არა ეს ავტორს უნდა დავუჯეროთ. მაგრამ რა ღმერთი გაუწყრა მეგრელ ენათმეცნიერებს, რომ უცხოელებმა აჯობეს ურარტულის წაკითხვაში.

გვ. 55. ვკითხულობთ: . . . „მაგალითად ლევკოთეას ტაძარი იბერიის მესხეთში სიმდიდრით ისე

განთქმული იყო, რომ იგი მრავალჯერ გაიძარცვა მისი საგანძურის დაუფლების მოსურნე უცხოელ მეფეთა მიერო" ამბობს ავტორი. ასეთ მსჯელობას ისტორიის წიგნში არ მიმართავენ. მაშ რამდენად უფრო მდიდარი ყოფილა რამდენჯერმე გაძარცული ჩვენი სიონი, ერთხელაც არ გაძარცულ პარიზის ნოტრდამზე. ეს ამბავი სტრაბონსა აქვს მოთხრობილი და მის ტექსტს სალიასებური გამამკეთებელი არ ჭირდებოდა: „მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო ფრიქსეს მიერ აგებული და მისი სამისნო სადაც ვერძს არ სწირავენ მსხვერპლად. ოდესღაც ის მდიდარი იყო ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქმნა გაძარცული. როდესაც ქვეყანა დაუძლურდება „ღმერთთა კუთვნილიც სუსტდება და აღარ უნდათ მისი პატივისცემა"ამბობს ევრიპიდეო" დასძენს სტრაბონი. როგორც ვხედავთ სტრაბონი ბ. სალიაზედ მეტ თავდაბლობას იჩენს, როცა ძარცვის მიზეზის ასახსნელად ევრიპიდეს სიტყვებს იშველიებს. მაგრამ ავტორი არც სხვა მხრივ აქცევს ყურადღებას სტრაბონის სიტყვებს– როდესაც ლევკოთეას ტაძარს მესხეთში ათავსებს. სტრაბონი ამბობს: „მოსხების ქვეყანა რომელშიც არის სამლოცველო სამს ნაწილს შეიცავს. ერთი მისი ნაწილი აქვთ კოლხებს, მეორე– იბერებს და მესამე არმენელებსო". ახლა დადგენილია, რომ ეს ტაძარი კოლხეთში იყო, სადაც დღეს ვანის ნაქალაქარს თხრიან.

ისტორია ცხოვრების აღწერა არის, რაც ასე შესანიშნავად გამოთქვეს ძველმა ქართველებმა, როცა ჩვენს „ბიბლიას" ქართლის ცხოვრება დაარქვეს და აგრეთვე–ვახუშტიმ, როცა თავის ისტორიას საქართველოს აღწერა უწოდა. და ვინაიდან ცხოვრება ბრძოლაა, ხოლო ყოველ მებრძოლ მხარეს საკუთარი სიმართლე აქვს, ისტორიის ყველა მთხრობელი ძლიერ ბიძგს განიცდის მიკერძოებისაკენ. ამიტომ ბ. სალიას ვერ ვუსაყვედურებთ ზოგიერთ ტენდენციურობას, მაგრამ ასეთი რამ ჭკუით და ტაქტით უნდა ხდებოდეს და სასაცილო დეტალებამდე არ უნდა დადაბლდეს.

როცა ქსენოფონტე სამხრეთელ ქართულ ტომების შეიარაღებასა და ჩაცმულობას აგვიწერს და გვეუბნება შუბები ფარები და მოკლე ხმლები ჰქონდათ და ბალნისაგან დამზადებულ tuniques de crin ან tuniques d'une toile epaisse ეცვათო, რა საჭიროა ეს ტუნიკები „მანტოებად" გადავაკეთოთ და თანაც სიტყვა NABADI მივაწოდოთ ფრანგებს. ნაბადმოსხმული მეომრები ფარსა და შუბს როგორ მოიხმარდნენ. ეს ხომ კომიკურია.

იგივე ქსენოფონტე მოგვითხრობს: 1uand les Grecs arrivent chez les Mossineques, leurs allies, cuux–ci leur montrent des enfants de gens riches, nourris, engraisses de chataignes bouillies, delicats, tres-blancs, a peu pres aussi grands que gros. Ils ont le dos marquete, et sur la poitrine un tatouage de fleurs. ils tachaient d'avoir commerce, aux yeux de tous, avec les filles que les Grecs avaient a leur suite: s'est un usage du pays. Tous sont blancs, hommes et femmes. Les Grecs disent que, dans leur expedition, ils n'ont pas trouvé de peuples plus barbares და სხვა. ამ ცნობებზე დაყრდნობით, ბ. სალია ამბობს: ქსენოფონტე აღნიშნავს აგრეთვე სოციალურ უთანასწორობასო. რომელიც გამეფებული იყო ხალხებში რომელთაც ის აღწერსო. მდიდართა ბავშვები ადვილად გამოირჩეოდენ ღარიბთა ბავშთაგან, ისინი აღზრდილნი და ნაკვები იყვნენ სხვაგვარად ვიდრე დანარჩენებიო.

წაბლის ზედმეტად ჭამით ისე გაყეყვა, რომ ისეთივე სიგანე ჰქონიათ, როგორიც–სიმაღლე და პირუტყვთა მსგავსი სქესობრივი უსირცხვილობა, „სოციალურ უთანასწორობის" და მდიდრული „სხვაგვარი აღზრდის" ნიშანი ყოფილა თურმე. გარდა ამისა იმავ ტომთა შესახებ წიგნში ნათქვამია: თუმცა იმ ეპოქაში ეს მხარე განსაზღვრულ ზომით დეკადანსში იყო ჩავარდნილი შედეგად არახელსაყრელ გარემოებისა . . . მაგრამ მრავალი პირუტყვი ჰყავდათო და სხვა. სიტყვა დეკადანსის გამოყენება გულისხმობს, რომ ადრე უფრო მაღალ საფეხურზე მდგარან. ეს კი ზეპირი მტკიცებაა. ეს ტომები ჯერ კიდევ დაბალ განვითარების საფეხურზე იმყოფებოდენ. მორჩა და გათავდა. სხვა რამეს არც ჩვენი მეცნიერები ამბობენ.

წიგნში სიტყვა ანტიკური რამდენსამე ადგილას, სიტყვა ძველის მნიშვნელობით ჭრის ნახმარი– არა ანტიკურ. ხანის პიროვნებათა და მოვლენათა მიმართ. ისტორიულ თხრობაში ამ ტერმინს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა ეძლევა და მისი სხვა მნიშვნელობით გამოყენება მკითხველის შეცდომაში შეყვანაა. მაგ. გვ. 43. ნათქვამია: „ჩვენ ვიცით ბიზანტიურ სომხურ და ანტიკურ ქართულ წყაროებიდან" და სხვაგან: „ანტიკურ საქართველოს ისტორიკოსი ჯუანშერიო". ჯუანშერი ვახტანგ. გორგასალის ხანის ამწერია და არა ანტიკურ საქართველოს ისტორიკოსი.

წიგნში უკომენტაროდ არის ნათქვამი: კოლხიდის დედაქალაქი რიონზე მდებარე აია იყოო. მკითხველმა უნდა იცოდეს რომ ეს მხოლოდ ჰიპოტეზაა.

არის ადგილები სადაც ბ. სალია სხვადასხვა პირთა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს იზიარებს – იმგვარად, რომ წინააღმდეგობაშივარდება. ერთი მაგალითი: წიგნში ნათქვამია, რომ ქართველ მეფეებს პრეტენზია ჰქონდათ დაეკავებიათ ადგილი ბიზანტიის იმპერატორისა, რადგან ბიზანტია ისტორიის ასპარეზის დატოვებაზე იყო მიმდგარიო. ასეთ შეხედულებას არსებობის უფლება აქვს, თუმცა იგი უფრო ლიტერატურაშია გამოთქმული ვიდრე ისტორიოგრაფიაში, მაგრამ თუ ბ. სალია ამ აზრს იზიარებს, მაშინ შეუფერებელია მისი პრობიზანტიური და ანტიჯვაროსნული პოზიცია. საქართველო მთელ მცირეაზიის დაკავებაზე ხომ ვერ იოცნებებდა და თუ ბიზანტია მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, ჯვაროსნებს ე. ი. იერუსალემის სამეფოს და საქართვე-

ლის არ უნდა გაენაწილებიათ ბერძენთა მემკვიდრეობა და ისლამურ კოალიციასთან ბრძოლის სიძნელე? და თუ საქართველო ბიზანტიის მაგივრობას აპირობდა, ყველაზე უადრეს, ქართულ ტომებით დასახლებული ტრაპიზონის მხარე არ უნდა შემოეერთებია? მაგრამ ამგვარ საკითხებზე მსჯელობა, ამ წიგნზე ლაპარაკის დროს ზედმეტია—თანაც შორს წაგვიყვანდა. ამ რეცენზიაში მხოლოდ ერთითვალის გადავლებით შემჩნეული სუსტი ადგილებია აღნიშნული.

მაგრამ არის საკითხი რომელზედაც რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას: საბჭოეთში მეცნიერები იძულებულნი არიან ეგრეწოდებული მარქსისტული გაშუქება მისცენ ისტორიას, მაგრამ აქ საფრანგეთში გამოცემულ წიგნში ამგვარი მიდგომა სავალდებულო როდია— როცა ავტორი ამ შეხედულებას არ იზიარებს. როდესაც ბ. სალია ამბობს, კოლხეთი მონათმფლობელური სახელმწიფო იყო, ეს მართალი არ არის. მონათმფლობელობა იმ ხანაში ყველგან არსებობდა, აფრიკასა და არაბულ ქვეყნებში დღესაც არსებობს. მაგრამ ასეთი სახელი შეიძლება ვუწოდოთ იმ ქვეყანას, სადაც ამ სისტემაზეა დამყარებული მეურნეობა. ჩვენი მეცნიერები კი კოლხეთში სუსტად განვითარებულ მონათმფლობელობაზე მიუთითებენ. მაშასადამე მონათმფლობელურ სახელმწიფოდ კოლხეთის გამოცხადება შეცდომაა. მით უმეტეს შეცდომაა თქმა იმისა, რომ ამ სისტემის დაცემამ გამოიწვია კოლხეთის დაქუცმაცებაო (გვ. 63). კოლხეთს „პონტოს სამეფომ მოუღო ბოლო" ამბობს ქართული ისტორია და მონათმფლობელობა აქ არაფერ შუაშია.

რა უნდა ითქვას ამ წიგნის შესახებ, დავიწუნოთ იგი და საყვედური ვუთხრათ მის ავტორს? არც ერთი არც მეორე. ამ წიგნის გამოსვლა ძალიან დადებითი და სასარგებლო მოვლენაა. ზემოაღნიშნულ ნაკლთა დიდ უმრავლესობას უცხოელი მკითხველი ვერც კი შეამჩნევს—გარდა სპეციალისტისა. ხოლო ავტორისადმი მადლობის არ თქმაც გაუმართლებელი უმადურობა იქნება. (ბ. სალიას მიერ არჩეული გზა რომ ჩვენთვის მიუღებელია, ეს სხვა საკითხია და რეცენზიას არ შეეხება. ამ შემთხვევაში იგი საქართველოს ემსახურა და სხვა საჭოჭმანო ნაბიჯთაგან განსხვავებით., ამ წიგნის გამოცემა, წაღმა გადადგმული ნაბიჯია). კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების დასრულიადაც არ არის მცირედი ის ჯაფა და თავდადება, რომელიც ასეთი წიგნის შედგენისათვის არის საჭირო. მხოლოდ უკეთესი შედეგი იქნებოდა მიღწეული „საკუთარის თქმის" ცდუნებას რომ არ დაეძლია ავტორი. ჯობდა **კომპილატორის** როლით რომ დაკმაყოფილებულიყო. ბ. სალია ძალიან ნიჭიერი, ენერგიული და მოხერხების უნარის მქონე კაცია— კულტურაც აქვს. ქართული კულტურის უცხოელთათვის გაცნობისსაქმეს მან დიდი ამაგი დასდო. ყოველივე ამისათვის, ზოგ ჩრდილოვან გარემოებათა მიუხედავად, მადლიერება გვმართებს მისადმი. მაგრამ განგება კაცს ყველა ნიჭით არასდროს არ აჯილდოებს. ავტორი რომ სპეციალისტი არ არის ისტორიისა, ამას ისიც დაემატა, რომ როგორც ეტყობა, მას მიუხედავად საამისო კულტურის ქონებისა, ისტორიკოსის ფხა არ ჰქონია. ამის გამოა რომ იგი საგანს სასურველი ხარისხით ვერ მოერევია და მისი წიგნი, რომელიც სრულიადაც არ არის ცუდი, დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ეს არ არის იმ ხარისხის ნაშრომი, როგორითაც ჯერარს რომ საქართველომ თავისი ისტორია უცხოეთს გააცნოს. ამიტომ რენე ლაფონის სიტყვები: უცხო ენაზე არ მოიპოვება საქართველოსა და მეზობელ მხარეების შესახებ ცნობათა შემცველი დამაკმაყოფილებელი ნაშრომიო, ისევ ძალაშია. არც მოსალოდნელი იყო რომ ამ ხარვეზს ბ. სალია შეავსებდა. სასწაულები ზღაპრებში ხდება. ეს სიტყვები საყვედური არ არის, არამედ მხოლოდ ფაქტის აღნიშვნაა. ბ. სალიამ **თავისი** ვალი მოიხადა, ასაწევი ტვირთი იმ სიმაღლემდე ასწია რამდენიც შესძლო. პირველი ქვა უფრო მაღლა ამწევმა ესროლოს.

ეს წერილი ასე გრძელი იმიტომ არის, რომ ჯერ ერთი იქნებ ავტორმა ზოგი შენიშვნა მაინც ყურადიღოს და განზრახულ ინგლისურენოვან გამოცემაში გაასწოროს. ხოლო მეორე ის, რომ საკითხის ასე გაშიშვლების შემდეგ, მე მსურს მივმართო მათ, ვინც საყვედურის ღირსია. დიახ ვინმე ხომ არის საყვედურის ღირსი. დღევანდელი დონე ქართული ისტორიოგრაფიისა და დღეს ამ საქმისათვის გაღებული სახსრები, მიუტევებელ დანაშაულის სახეს აძლევენ იმ ფაქტს, რომ **საქვეყნო საქმე**—საქართველოს ისტორიის უცხო ენაზე გამოქვეყნება, არასპეციალისტის ანაბარა არის მიტოვებული. დროა, რახანია დროა, რომ წესიერად დამუშავებული, განხილულ წიგნზე ორჯერ მეტი მოცულობის მაინც, საქართველოს ისტორია გამოიცეს—ინგლისურ და რუსულ ენებზე. ინგლისურად იმიტომ რომ იგი დღევანდელი საერთაშორისო ენაა, ხოლო რუსულად იმიტომ, რომ ის უცხოელი მეცნიერული და სხვა დარგის წრეები, რომელნიც საბჭოეთის გაცნობას ცდილობენ, რუსული წყაროებიდან კი არ უნდა გაეცნონ **საქართველოს**, არამედ ჩვენ მიერ რუსულ ბიბლიოთეკებში მიწოდებულ წიგნებს უნდა წააწყდნენ იქ. იქ უნდა დახვდეთ მათ ქართულად გააზრებული რუსული წიგნები. ასევე დროა ორგანიზებულ იქმნას სისტემატიური თარგმნა ქართული, განსაკუთრებით ძველი მწერლობისა ინგლისურადვე. მცდარია დაკმაყოფილება იმით, რომ უცხოელთ **გავაცნოთ** მხოლოდ მწვერვალები. მარტო რუსთველის გაცნობა, თუ მკითხველმა ვერ გაიცნო ქართული ლიტერატურის პირამიდა, რომლის მწვერვალიც რუსთაველია, პატარა ერის მიერ საკაცობრიო გენიის ყოლას შემთხვევად და ანომალიად ჩათვლის და ეს სამწუხაროა.

მიხეილ ქავთარაძე

**შენიშვნა:** ეს წერილი კავკასიონში უნდა დაბეჭდილიყო. გ. ნოზაძემ, რომელმაც რეცენზიის დაწერა თითონვე მთხოვა, პირველი ვარიანტი ძლიერ მძაფრად მიიჩნია. მე მის სურვილს ანგარიში გავუწიე და წინამდებარე წერილზე ბევრად უფრო ლბილი ტექსტი შევადგინე. ბ. ნოზაძემ ეს ვა-

რიანტიც დაიწუნა, მაგრამ გ. ყიფიანმა მხარი მე დამიჭირა და აწყობასაც შეუდგა. (კავკასიონის ანონიმურ სარედაქციო კოლეგიაში ჩვენ სამნი ვიგულისხმებოდით). რამდენიმე დღის შემდეგ კი ნაწილობრივ აწყობილი ტექსტი დამიბრუნა– ბოდიში, მაგრამ ვერ ავაწყობო. ინფორმაციას აქა ვწყვეტ . . მხოლოდ მომყავს ციტატა ბ. სალიას ჟურნალიდან ამოღებულ ერთი წერილიდან საყურადღებოდ: ბ. ნოზაძის, გ. ყიფიანის და მკითხველებისა.

„მეცნიერებაში სიმართლე არ იმალება. ის ყოველთვის იპოვნის ჭეშმარიტებას. ამიტომ უნდა ვერიდოთ, პრიმიტიულობა არ დაგვწამონ, ტრაბახობისათვის არ დაგვცინონ. . . პრობლემების გადაჭრა, მათი გარკვევა მეცნიერებაში, თვით მეცნიერების საქმეა, კომპილატორმა მხოლოდ ის უნდა გადმოსცეს, რაც უკვე გარკვეულია და რა არის გარკვეული. დასკვნებს, მით უფრო გადაჭრით დებულების დადგენას, უნდა მოერიდოს. ეს ავტორმა არ შეასრულა. . . ისე ღრმად შესტოპა, რომ გზა დაებნა. . . რომელსაც მკვლევართა წიგნებით სარგებლობს დილეტანტი, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ უსაზღვრო არევ-დარევა და გაუგებრობა არ შეიტანოს თავის კომპილაციაში. . . თუ უცხოეთის მეცნიერები არა, უთუოდ ჩვენს ქვეყანაში იქ საქართველოში, უმეცრებას დაგვწამებენ."

ეს ფრაზები ამოღებულია, ბედი ქართლისას მერვე ნუმერში დაბეჭდილ ნარ-ნარის მიერ ხელმოწერილ რეცენზიიდან. ლაპარაკია ს. ფირცხალავას პატარა ბროშურის, ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები-ს შესახებ. ამ ბროშურას არავითარი მეცნიერულობის პრეტენზია არა ჰქონია, არც „ქართველი ერის ისტორია" ერქვა, ჟრც უცხო ენაზე იყო დაწერილი. მისი ავტორის პასუხისმგებლობა, ქართველოგიურ ფრანგულენოვან ჟურნალის პროფესორ რედაქტორის სახელით არ იყო დამძიმებული. მას თავისი წიგნაკი პრემიის მისაღებად არ წარუდგენია და პრემიის ნაცვლად წილად ხვდა აქ შიმშილის კარზე ყოფნაში დაბერება, ხოლო როცა ბედი ქართლისამ ეს წერილი გამოაქვეყნა, ფირცხალავა გადასახლებაში კვდებოდა შიმშილით და მოკვდა კიდევაც. რაც შეეხება მისი აქედან წასვლის პირობებს, ყველას ახსოვს ვინ იყო იმათი ჩიჩერონე და მხარის დამჭერი, ვინც ქართველ ემიგრანტებს საქართველოში ეპატიჟებოდა–ციმბირზე გავლით. ეს ციტატა იმისათვის მოვიყვანე და ძველი ამბავიც იმათთვის გავიხსენე, რომ ვინც ჩემს წერილში ჭარბ სიმძაფრეს დაინახავს, წაიკითხეთ ფირცხალავას წიგნაკი და თუ შიგ ერთ ფრაზას მაინც იპოვნით მსგავსს ბ. სალიას წიგნიდან ამოკრეფილ მარგალიტებისა, მაშინ სთქვით: ეს წიგნი ასეთი მძაფრი კრიტიკის ღირსი არ არისო.

მაგრამ არის ერთი გასარკვევი გარემოებაც: როგორ ვკადნიერდები მე, თვადაც არასპეციალისტი, ასეთი შეფასება მივცე წიგნს, რომელმაც ფრანგული ჯილდო მიიღო? მე ვალდებულად მიმაჩნია თავი, ემიგრაციაში გამოცემულ ასეთი მნიშვნელობის წიგნს, უბრალო აღნიშვნაზე უფრო ვრცლად გამოვეხმაურო. იქნება შეფასებაში ვცდები, მაგრამ მხოლოდ მუნჯები არ ცდებიან არასოდეს. ჯილდოს მიღებამ კი თავბრუ არ უნდა დაგვასხას, გერმანულ ჯარში ამბობენ: თუ ჯვარის მიღება გსურს, იქ უნდა იყო სადაც არიგებენ და არა იქ სადაც იმსახურებენო. და თანაც ვისაც ბატონ სალიას მიერ მეცნიერულ პრესის ინტერნაციონალურ კავშირის ვიცეპრეზიდენტობა არ უკვირს, ჯილდოს მიღებაც ნუ გაუკვირდება. ხოლო რაც ფრანგულად გამოქვეყნებულ ხოტბის შემსხმელ წერილებს შეეხება, მე ვიტყოდი რომ როცა ბატონი Michel van Esbroek ამბობს: „ის რაც Rene Grousset-მა შეასრულა შუასაუკუნოვან სომხეთის ისტორიისათვის, აი ახლა ხელმისაწვდომია საქართველოს მთელი ისტორიის მიმართო", კეთილად განწყობილ უცხოელს საყვედურს ვერ ვეტყვი, მაგრამ ამ სიტყვებმა გული მატკინა და ასე მოუვა ყველას, ვინც ქართული ისტორიოგრაფიის პატივისმცემელია. აქ ბ. სალია და მისი ნაშრომი შედარებული და გათანაბრებულია, აღმოსავლეთის ისტორიის და კულტურის ერთ ბრწყინვალე სპეციალისტ აკადემიკოს გრუსეს პიროვნებასა და ნაშრომთან. ვუცადოთ როდის იქნება, რომ საქართველოში ნამდვილი რეცენზია გამოქვეყნდეს ამ წიგნის შესახებ და ქართველმა მეცნიერებმა სთქვან, ბატონ ესბროეკის აზრს თუ ეთანხმებიან. ბატონ ტაბალუას მიერ გამოქვეყნებული წერილები კი არაფრის მთქმელია, გარდა იმისა, რომ ორი ძმაკაცი ერთმანეთს დაჰპირებია: დამიწერე შემაქე, დაგიწერ და შეგაქებო.

## ახლად გამოსული წიგნები

საშიკო (ალექსანდრე) კარგარეთელმა გამოსცა წიგნაკი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი". შიგ მოთხრობილია ავტორის მონაწილეობა ქაქუცას რაზმის ბრძოლებში 1924 წ. წიგნაკში მოთავსებულია ქაქუცას წერილები კარგარეთელისადმი, რამდენიმე საინტერესო ფოტო. წიგნს უძღვის ელიზბარ მაყაშვილის წინასიტყვაობა. ყოველივე ეს, ისტორიული მოწმობაა, ავტორის ბიოგრაფიის ნაწილია და საჭირო სასარგებლო საქმეა.

კარლო ინასარიძემ გამოსცა წიგნაკი სახელწოდებით: „აქ იყო კართაგენი ანუ კართაგენული ასოციაციები" ეს წიგნი ტუნისში გატარებულ შვებულების დროს დაწერილი დღიურია, თავისი ასოციაციებით. ინასარიძეს, რომელსაც ისედაც ჩვევია „ცისა და ქვეყნის" ამბების მოდება, ამჯერად მთლიანად გამართლებული მიზეზი ჰქონდა თავისი ჩვევა - სტილისათვის ფრთები შეესხა. წიგნი სიამოვნებით იკითხება.

სიმონ ბერეჟიანის ლექსები – იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გარდაცვლილ პოეტის ლექსთა კრებული. რედაქტორი გიორგი ყიფიანი. გამომცემელი აკაკი შავგულიძე.

## ქართულ სათვისტომოში

მიმდინარე წლის ცხრა მაისს ქართულ სათვისტომოს წლიურ კრებაზე, ბ. ხომერიკის გადადგომის შემდეგ, ახალ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა, თამაზ ნასყიდაშვილი. გამგეობაში არჩეულნი არიან: ანიკ დავრიშაშვილი, ეთერ წერეთელი,ოთარ ამილახვარი, ანრი მაჭავარიანი, ოთარ პატარიძე, ტარიელ ლეონიძე ფაღავა, ნიკო ჭავჭავაძე და ტარიელ ზურაბიშვილი. ამათგან ეთერ წერეთელი და ტარიელ ზურაბიშვილი თავმჯდომარის მოადგილენი არიან, ხოლო ოთარ პატარიძე მოლარეა.

მთელი გამგეობა უცხოეთში დაბადებულ ქართველებისაგან შესდგება. ახალმა თავმჯდომარემ 26 მაისის საზეიმო კრებაზე ისეთი აზრიანი მამულიშვილური და ენერგიულ სიტყვით გამოთქვა თავისი რწმენა და მოვალეობის შეგნება, რომ საზოგადოება მოულოდნელმა აღტაცებამ შეიპყრო.

ვუსურვოთ მხნეობა მამათა შემცვლელებს და გვქონდეს იმედი, რომ გაამართლებენ თქმას: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

## ს ა მ გ ლ ოვ ი ა რ ო

ნათესავ - ქრისტიანთა მიმართ სამძიმრის თქმით ვაქვეყნებთ 1981 1982 წელთა განმავლობაში გარდაცვლილ ქართველთა სიას.

არჩილ გომართელი (შ. შტ.) ; გიორგი კახაბერე (საფრ.) ; ქეთევან ხუციშვილი ასათიანისა (ლევილი); დავით მუხრანი (ლევილი) ; გივი გვეტაძე (ლევილი); პავლე სირაძეულიძე (ლევილი); მელიტონ ბალანჩივაძე (ლევილი); ნიკოლოზ მაჭარაძე ( ზემო სავუა); ვანო ახმეტელი (შ. შტ.); კობა რამიშვილი (მონპელიე) ; დიმიტრი ბეგიაშვილი (ლევილი) ; რუსუდან დადიანი კომანოვსკისა ( საფრ. ); ალექსი ბაგრატიონ მუხრანელი ( საფრ.); ბაგრატ ქაჯაიაშვილი (დუბის დეპარტ.); ნიკო ყურუაშვილი (ლევილი); აპოლონ ორაგველიძე (ლევილი); გიორგი ყაველაშვილი (ბრიუსელი); ალექსანდრე ბადურაშვილი (ლევილი); გიორგი ვეფხვაძე (მიუნხენი); დიმო ცხონდია (ლევილი) .

## ჟურნალის ფონდი (ფრ. ფრანკები)

აკ. შავგულიძე 1100/ ბ. ბადურაშვილი 1000 / შ. კალანდაძე 300 / ბ. კეკელია 338 გ. წერეთელი 200 / აკ. ბარკალაია 200 / რ. ჯაში 200 / სოკოს სათვისტომო 200 / თამ. პატარიძისა 200/ ოთ. პატარიძე 200 / მ. ზაქრაძე 169 / შ. გვასალია 150 / თინა ყიფიანისა 100 / ილ. ემუხვარი 100/ ბ. ქაჯაიაშვილი 100 / შ. ჩაგანავა 50 / გ. კვარცხავა 20 / შ. ზუღდიძე 20 / დ. დეიშვილი 15 / შ. ქურციკიძე 15 /. უღრმესი მადლობა რედაქციისაგან.

DIRECTEUR O. PATARIDZE

ADRESSE D'EDITEUR : MICHEL KAVTARADZE 61 CHEM. DE TABOR 91310 LINAS.
TEL. 901 47 81
HORS COMMERCE IMPRIME PAR NOS PROPRES MOYENS

სარედაქციო კოლეგია: გივი გაბლიანი. გივი ზალდასტანიშვილი. შალვა კალანდაძე. გულნარა პატარიძე ურატაძისა. მიხეილ ქავთარაძე (ტექსტის და გამოცემის რედაქტორი).